CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 6 აპრილი, 2009 წელი. №75 (2113) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესმბუდსმენი
A3



"რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"
A4

ფხენიანის რაკეტები
A7



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი ეი
ჭეის სადაზღვეო ჯგუფი

ნატოს მკაცრ პოზიციას რუსეთი მუქარით პასუხობს

ნატო რუსეთისგან აღებული ვალდებულებების შესრულებას ითხოვს

AFP ' 2009

ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვს საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

დიმიტრი ავალიანი

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საიუბილეო სამიტზე საქართველოს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. პირობა იმის შესახებ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი აუცილებლად გახდება, ძალაშია. ალიანსი ქვეყანას ნატო-ს სტანდარტების მიღწევაში დახმარებას დაპირდა. ნატო-მ ასევე დაგმო რუსეთის ქმედებები საქართველოში და მოსკოვს საქართველოდან ჯარების გაყვანა და ყველა ვალდებულების შესრულება მოსთხოვა. თბილისში ალიანსის პოზიციას მიესალმებიან, მოსკოვი კი გაღიზიანებით და მუქარით პასუხობს.

ბუქარესტში ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უკრაინა და საქართველო ნატო-ს წევრები გახდებიან და ჩვენ ამ გადაწყვეტილების ყველა დეტალს ვადასტურებთ, ასევე ვადასტურებთ გასული წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებას, - ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც შაბათს, ალიანსის საიუბილეო სამიტის მონაწილეებმა მიიღეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები განთავსდება

მარიკა იაშვილი

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერთა სამიტის დაწყების წინ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავის გამოსვლაში დაადასტურა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსების გეგმები ძალაში რჩება, რადგან ირანის მხრიდან მომავალი საფრთხე კვლავაც რეალურია.

ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ზუზანა ოპლეტალოვა მიიჩნევს, რომ ობამას განცხადება **"მხოლოდ და მხოლოდ იმის დადასტურებაა, რასაც ისინი მუდმივად ამბობდნენ და რაც კიდევ ერთხელ შეფასდა დადებითად ნატო-ს სამიტზე. კონკრეტულად კი ნიშნავს იმას, რომ თავდაცვითი სისტემები აუცილებელია ან გახდება აუცილებელი ადრე თუ გვიან."**

ობამას გამოსვლის მთავარი თემა ბირთვული იარაღის გავრცელება იყო. მისი სიტყვებით, აშშ მზად არის და გეგმავს, რომ ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერის როლი თავის თავზე აიღოს.

"არც იმდენად მიამიტი ვარ, რომ ვიფიქრო, თითქოს მიზანს მალე მივაღწევ. შესაძლოა ეს მანამდეც კი არ მოხდეს, სანამ ცოცხალი ვარ," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ უმოქმედობა ყველაზე ცუდი ვარიანტია.

20-ათასიანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას ობამამ აღიარა, რომ ზოგიერთი ადამიანი დარწმუნებულია, თითქოს ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერება შეუძლებელია. **"ასეთი ფატალიზმი სასიკვდილოდ სახიფათოა,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

ობამას გამოსვლა ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელებიდან ერთი საათის შემდეგ შედგა.

გაგრძელება A7 გვერდზე

უგულავას ინიციატივა ოპოზიციისთვის მიუღებელია

დედაქალაქის მერის გიგი უგულავას ინიციატივა 2010 წლის გაზაფხულზე თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევისა და თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შესახებ, ოპოზიციის შეფასებით, იმდენად არაადეკვატურია, რომ ღიმილს იწვევს.

ოპოზიცია ხელისუფლებას შეახსენებს, რომ ისინი მერის პირდაპირი წესით არჩევას სამი-ოთხი წლის წინათ ითხოვდნენ, რაც მმართველმა გუნდმა ყურად არ იღო.

უგულავას წინადადებას, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილიც მკვეთრად უარყოფითად აფასებს.

ცაგარეიშვილის შეფასებით, უგულავას ინიციატივას ორმაგი დატვირთვა ენიჭება. პირველი - ეს არის ერთგვარი ხრიკი, რომელიც მიზნად ისახავს ოპოზიციაში განხეთქილების შეტანას და საპროტესტო მუხტის შესუსტებას.

ამასთანავე, უგულავას ინიციატივა უნდა განვიხილოთ მმართველი გუნდის ჟესტად საერთაშორისო საზოგადოების დასანახად - თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება მზად არის ოპოზიციასთან დიალოგის დასაწყებად, ხოლო ეს უკანასკნელი მაინც საპროტესტო ტალღაზე რჩება, - დასძენს გიორგი ცაგარეიშვილი

ფარსი - ასე უწოდებს მოძრაობა ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია უგულავას ინიციატივას. ოპოზიციონერის თქმით, ხელისუფლებას სურს, საზოგადოების ყურადღება ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე გადაიტანოს. მთავარი კითხვა კი უპასუხოდ რჩება: რატომ არ ჯდება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ ეთერში ოპოზიციის პირისპირ?

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

პატრიარქის საკვირაო ქადაგება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება და ოპიზიცია საქართველოსთვის სასარგებლო გზების გამონახვას შეძლებენ.

9 აპრილს თბილისში დაგეგმილი აქციის შესახებ უწმინდესმა საკვირაო ქადაგებაში ისაუბრა.

"ვილოცოთ, რომ 9 აპრილი მშვიდობით ჩატარდეს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიცია მოძებნიან ისეთ გზებს, რომლებიც სასარგებლო იქნება საქართველოსთვის," - განაცხადა ილია მეორემ.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა კოდორის ხეობიდან გამოძევებული ბერ-მონაზვნები მიიღო. პატრიარქმა მათ იღუმენისა და არქიდიაკვნების ხარისხები მიანიჭა და ოქროს ჯვრებით დაასაჩუქრა.

ჯი-ეიჩ-ენი

ენეკო ლანდაბურუ: რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა

ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელ ენეკო ლანდაბურუს განცხადებით, საქართველოში შექმნილ მდგომარეობას "რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია" უნდა ეწოდოს. ლანდაბურუ აღნიშნავს, რომ რუსეთის ქმედებები ევროკავშირისთვის მიუღებელია.

როგორც ლანდაბურუმ რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" განუცხადა, ევროკავშირი არ ცნობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რადგან ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა.

"ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ამ სიტუაციიდან გამოსავალს გვაპოვნინებდა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არ დავუშვათ შეტაკებები და შევქმნათ მექანიზმი, რომელიც სიტუაციას განმუხტავს და გამოსავლის მოძებნის დროს მოგცემს," - აცხადებს ლანდაბურუ.

მედიანიუსი

კონსულტაციები ევროკავშირთან

ბრიუსელში ევროკავშირთან პარტნიორობა მობილურობისთვის საკითხებზე კონსულტაციები გაიმართა.

შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ევროკავშირის მხარეს - ევროკომისიის სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების გენერალური დირექტორატის, მიგრაციისა სამმართველოს უფროსის მოადგილე პიტერ ბოში.

ნიშანდობლივია, რომ შეხვედრაში, ევროკომისიის წარმომადგენლებთან ერთად, ევროკავშირის წევრი იმ 15 სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებმაც გამოხატეს ინტერესი, ითანამშრომლონ საქართველოსთან პარტნიორობა მობილურობისთვის ფარგლებში.

შეხვედრაზე მხარეებმა ინიციატივის ფარგლებში შესამუშავებელი ერთობლივი დეკლარაციის დებულებები და თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებები განიხილეს. დაგეგმილია, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობა ისეთი მიმართულებებით გაღრმავდეს, როგორებიც არის საზღვრის ეფექტური მართვა, იდენტიფიკაციის მოწმობების უსაფრთხოება, მიგრაციის მართვა, შრომითი მიგრაცია, რეინტეგრაციის პროგრამები და მრავალი სხვა.

გადაწყდა, რომ შემდგომი კონსულტაციები უკვე თბილისში, ივნისის პირველ ნახევარში გაიმართება.

მედიანიუსი

შეზღუდული პასუხისმგებელობის საზოგადოება "ალფა ბროკერიჯის" პარტნიორები აცხადებენ, რომ 2008 წლის 25 თებერვლის, შპს "ალფა ბროკერიჯის" პარტნიორთა კრების ოქმი N2009-1-ის საფუძველზე დაიწყო კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი. "ალფა ბროკერიჯის" იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ N11. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 895 135 135

ნატოს მკაცრ პოზიციას რუსეთი მუქარით პასუხობს

პირველი გვერდიდან

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსში გაწევრიანებას მას შემდეგ შეძლებენ, რაც ნატო-ს სტანდარტებს დააკმაყოფილებენ.

კომუნიკეში ასევე აღინიშნა, რომ **ნატო-სა და საქართველოს ურთიერთობა გასული წლის განმავლობაში საგრძნობლად გაღრმავდა.** ალიანსის წევრები მხარს უჭერენ საქართველოს დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებაში, მათ შორის - საარჩევნო და სასამართლო სისტემის სრულყოფის საკითხებში.

გარდა ამისა, ნატო-მ რუსეთს მოუწოდა, **შეასრულოს ყველა ვალდებულება საქართველოსთან დაკავშირებით** და შეცვალოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

ამ კონტექსტში ჩვენ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ რუსული ძალების გასვლას იმ რაიონებიდან, საიდანაც მათი გაყვანის ვალდებულება რუსეთმა 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად აიღო, - ნათქვამია კომუნიკეში. ალიანსის წევრებმა აღნიშნეს, რომ ნატო-ს ურთიერთობა რუსეთთან დამოკიდებული იქნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვს საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი საკუთარ ვალდებულებებს არ ასრულებს, სამიტის მსვლელობისას ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა გააკეთა.

თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთს საკუთარი ვალდებულებებიდან თითქმის არაფერი შეუსრულებია. მან ყურად არ იღო ჩვენი თხოვნა და მოწოდება - საქართველოში კონფლიქტი საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში მოეგვარებინა, - განაცადა ადამკუსმა.

მან აღნიშნა, რომ რუსეთთან ალიანსის ურთიერთობის გაგრძელება სწორედ მოსკოვის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

ნატო-ს საიუბილეო სამიტი ისტორიული იყო და მასზე მიღებული დოკუმენტიც ისტორიული მნიშვნელობისაა, - განაცხადა დოკუმენტის კომენტირებისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, სწორედ ამ გადაწყვეტილებას დაეფუძნება საქართველოს სამომავლო მოქმედება.

ეს გვაძლევს კიდევ უფრო მეტ ენთუზიაზმს და, ბუნებრივია - კიდევ უფრო მეტ იმედს, რომ საქართველო, მიუხედავად მრავალი სირთულისა, დაძლევს წინააღმდეგობას და აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი," - აღნიშნა ბარამიძემ.

ბარამიძის განცხადებით, საქართველოს აქვს კონკრეტული ამოცანები საქართველო-ნატო-ს სამომავლო ურთიერთობებთან დაკავშირებით.

ურთიერთობები თანამშრომლობის ეტაპიდან ინტეგრაციის ეტაპზე გადავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც MAP-ის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ამ დოკუმენტზე მუშაობა დაწყებული გვაქვს, საბოლოო ვარიანტი კი უახლოეს ხანებში დამტკიცდება - სავარაუდოდ, აპრილის ბოლომდე, - განაცხადა ბარამიძემ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიციას ნატო-ში რუსეთის ელჩი დმიტრი როგოზინი გამოეხმაურა. მისი თქმით, აგვისტოს ომის შემდეგ ალიანსის პოზიციაში **ღრმა ცვლილებები მოხდა** და **საქართველო და უკრაინა უფრო შორს არიან ნატო-ს წევრობიდან, ვიდრე 5-6 წლის წინათ.**

თუმცა, მან საქართველოს საკითხზე ალიანსის მიერ დაფიქსირებული პოზიციით გაღიზიანება ვერ დამალა და აღნიშნა, რომ ამის გამო რუსეთი-ნატოს საბჭოს მუშაობა, რომელიც საქმიანობას, სავარაუდოდ, ზაფხულში განაახლებს, საკმაოდ რთული იქნება.

ზოგიერთი ქვეყანა აგვისტოში ჩვენი მტრის მხარეს დადგა, - განაცხადა როგოზინმა. იგი ალიანსის მიმართ კატეგორიული მოთხოვნებით გამოვიდა. **უფრო გონივრული იქნებოდა, ნატო ორ სკამზე არ მჯდარიყო, როდესაც მათ, ერთი მხრივ, რუსეთი სჭირდებათ და, მეორე მხრივ, ვერ წყვეტენ კავკასიაში ჩვენი ქმედების კრიტიკას,** - განაცხადა რუსეთის ელჩმა. როგოზინის თქმით, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ნატო-მ შეწყვიტოს **სააკაშვილის აგრესიული რეჟიმის** მხარდაჭერა, რაც რუსეთ-ნატო-ს მომავალ მოლაპარაკებებს გაართულებს.

როგოზინი ალიანსს ღიად დაემუქრა: **სააკაშვილის რეჟიმის დემონსტრაციული მხარდაჭერის გაგრძელებას შეიძლება სამხრეთ კავკასიაში ვითარების გართულება მოჰყვეს.** მისი თქმით, პასუხისმგებლობა ამგვარ გართულებაზე სწორედ ალიანსის წევრებს დაეკისრებათ.

უგულავას ინიციატივა ოპოზიციისთვის მიუღებელია

პირველი გვერდიდან

თავისთავად, დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევის ინიციატივას კონსერვატორი ზვიად ზიზიგური პროგრესულად მიიჩნევს. მაგრამ, მისი განმარტებით, კონტექსტი არასწორად არის შერჩეული. **ეს ინიციატივა 9 აპრილის აქციის საპირწონედ ვერ გამოდგება,** - შენიშნავს კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი და ხელისუფლებას შეახსენებს, რომ საზოგადოების მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ ისევ ძალში რჩება.

იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ალიანსი თავისუფლების წევრი, ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერ ირაკლი მელაშვილის შეფასებით, **ეს საკითხი ოთხი წლის წინათ იყო აქტუალური** ანუ ხელისუფლებამ ოთხი წლით დაიგვიანა. **წარსულში ჩარჩენილი ხელისუფლება არც ოპოზიციასთან დიალოგისთვის არის მზად,** - ასეთია მელაშვილის პოზიცია.

თავისი კოლეგების მსგავსად, ხელისუფლების მიერ დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევის ინიციატივას ალიანსი საქართველოსთვის წევრი,

მემარჯვენე მამუკა კაციტაძეც არაადეკვატურს უწოდებს. კაციტაძის თქმით, 9 აპრილის წინ ამ წინადადების გახმოვანება, უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია.

ხელისუფლება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ადეკვატურად არ იქცევა. მთავარი პრობლემა სულ სხვა რამ არის და არა მერების არჩევის წესი. ხელისუფლება ცდილობს, ამ თემაზე საუბრით მთავარი პრობლემა მოხსნას. მერების პირდაპირი წესით არჩევა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ დადგება დღის წესრიგში, რაც ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. 9 აპრილის წინ კი ეს ინიციატივა ღიმილის მომგვრელია, - განაცხადა მამუკა კაციტაძემ. მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი შენიშნავს, რომ მისი თანაგუნდელები წლების წინ მოითხოვდნენ მერების პირდაპირი წესით არჩევას, მაგრამ ხელისუფლებამ მათი გამოსვლა არ შეისმინა.

კაციტაძის შეფასებით, ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოების დასანახად ქმნის დიალოგისა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნის იმიტაციას.

ხელისუფლება ამაოდ ცდილობს პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას. ეს შეუძლებელია, - აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა. **ხელისუფლებას ან ხალხი ჰგონია ბრიყვი, ან თავს იბრიყვებს. რადგან საზოგადოების პროტესტის საფუძველი არის არა მერის არჩევის წესი, არამედ წლების განმავლობაში ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაკარგული ტერიტორიები, გაჩანაგებული ეკონომიკა, უკანონობა, უმძიმესი სოციალური პრობლემები. ამ საპროტესტო ტალღას მერის პირდაპირი წესით დანიშვნა ვერ შეაჩერებს,** - დასძინა გუგავამ.

გიგი უგულავას ინიციატივას გუშინ უმრავლესობის ლიდერებიც გამოეხმაურნენ. ისინი დედაქალაქის მერის ინიციატივას არ ეთანხმებიან. მაგალითად, ამ იდეას მხარს არ უჭერენ მიხეილ მაჭავარიანი, პავლე კუბლაშვილი და ნუგზარ წიკლაური.

ოპოზიციის შეფასებით კი, უმრავლესობის შიგნით წინააღმდეგობა არის ერთგვარი ხერხი, რომ ოპოზიცია ანკესზე წამოეგოს და ხელისუფლების წინადადებას დათანხმდეს. ოპოზიციური ძალების განმარტებით, წარმოუდგენელია, რომ ხსენებული ინიციატივა უგულავას პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე გაეხმოვანებინა. მათთვის ასევე დაუჯერებელია, რომ უმრავლესობის ლიდერები სააკაშვილის წინააღმდეგ წავიდნენ.

გიორგი ცაგარეიშვილი მმართველ გუნდში ამ საკითხის გამო თითქოს უთანხმოების გაჩენას სიცრუეს უწოდებს. მისი განმარტებით, ხელისუფლებას სურს, აღნიშნული ინიციატივა დამაინტრიგებლად შეფუთოს .

საკუთარი ინფორმაცია

ოპოზიცია რეგიონებში

9 აპრილის აქციის საორგანიზაციო კომიტეტში შემავალი ოპოზიციური პარტიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობენ. ოპოზიციის ლიდერების თქმით, მოსახლეობაში არსებული დიდი საპროტესტო მუხტი 9 აპრილს დანიშნულ მიტინგებზე უნდა გამოიხატოს. ამიტომ 9 აპრილს სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მიტინგების გამართვა საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში არის დაგეგმილი. მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ **9 აპრილს დანიშნული საპროტესტო აქციისთვის რეგიონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული ჩამოყვანა არ იგეგმება. ვისაც სურვილი ექნება, ის თბილისში თვითონ ჩამოვა და მანიფესტაციას შემოუერთდება. თავის მხრივ, ოპოზიციურმა პარტიებმა რეგიონებში უკვე შექმნეს საორგანიზაციო ჯგუფები და რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი მიტინგის პარალელურად, საპროტესტო აქციები რეგიონებშიც გაიმართება,** - აღნიშნა ბესელიამ. საქართველოს რეგიონებში საპროტესტო აქციების გამართვის მიზეზებზე გაამახვილა ყურადღება კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ. **ხელისუფლებას ექნება მცდელობა, რომ თბილისის მიმართულებით ხალხის გადაადგილებას ხელი შეუშალოს. ამის ნიშნები უკვე საკმარისად არის,** - განმარტა კუკავამ.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები საქართველოს რეგიონების მოსახლეობას ინტენსიურად ხვდებიან. 9 აპრილს დანიშნული საპროტესტო აქციის ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიების ლიდერები დღეს ქვემო ქართლის რეგიონს ესტუმრებიან. ისინი აპირებენ შეხვედრას მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მცხოვრებლებთან. რაც შეეხება საპროტესტო აქციების საორგანიზაციო საკითხებს, ოპოზიციონერი ლიდერები სამუშაო სხდომებს 9 აპრილის საპროტესტო მიტინგამდე ყოველდღიურად გამართავენ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია



დღეს დილით ერთმა მეგობარმა დამირეკა, თემა უნდა შემოგთავაზოო... აბა, მიდი-მეთქი. შემოთავაზებული თემა ასეთი გამოდგა: საერთაშორისო პოლიტიკის ბოლო მოვლენების შედეგად ჩვენი ვითარება საგრძნობლად არ განცხადებულა, მაგრამ ამის გამო თავზე ნაცრის დაყრა საჭირო არ არის.

ერთი შეხედვით, თემა მოსაწყენი მომეჩვენა და ვუთხარი, როდის იყო, ქართველები თავზე ნაცარს ვიყრიდით-მეთქი ჩვენ ხომ ყოველთვის მართლები ვართ და ყველაზე ღირსეულნი. არა, მომიგო, ვინმე ცრემლიანი "ინწილიგენტი" მაინც გამოჩნდებაო.

საუბარი ნელ-ნელა სხვა საკითხებზე გადავიდა და მისი დასაწყისი ლამის დამავიწყდა კიდეც, სანამ სტატიის დასაწერად მომზადებას არ შევუდექი და 2 აპრილის ნომერში **გია ნოდიას** ტექსტს არ წავაწყდი. ოჰ, არა, ჩემი მეგობრის ბოლო სიტყვები სულაც არ შეესაბამება ტექსტსა და მის ავტორს, არც პირველი სიტყვები... გია ნოდიას სტატია სულ სხვა რამეს შეეხება და თავზე ნაცრის დაყრა სულ სხვა კონტექსტში ამომიტივტივდა მეხსიერებაში...

ჯერ ვთქვათ, რომ ზემოხსენებული ტექსტის სათაურია *ორ ცხრააპრილს შორის გაჭედილი საქართველო*. ყოველგვარი ეჭვის გასაბნევად უნდა განვაცხადო, რომ სტატია ბრწყინვალედაა დაწერილი და შინაარსითაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. მე რომ მკითხოთ, კიდევ ერთხელ დავბეჭდავდი გაზეთში ჩემი მიმოხილვის მაგიერ. მაგრამ ანალიზი აღფრთოვანებაზე დიდი პატივია, ამიტომაც უნდა ვიტვირთო ეს საქმე.

მაშ ასე, სტატია იწყება შეკითხვით: ხომ არ მოვიდა დრო, სრულად ვილაპარაკოთ, რუსი და ქართველი კომუნისტების გარდა, ვინ იზიარებს პასუხისმგებლობას 1989 წლის 9 აპრილზე? შევჩერდეთ და კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ეს შეკითხვა. რას ვგრძნობთ შიგნით? ატყობთ, როგორ თამაშობს ეს წინადადება ორ უკიდურესობას შორის: ბუნებრივი თუ გაუგონარი? საჭირბოროტო თუ საჩოთირო? მაგრამ დრო მოვიდა: თუ პასუხს დავაპირებთ, ზეცა არ დაგვეცემა თავზე.

რა თქმა უნდა, გია ნოდიას პასუხი არ არის უბრალოდ თითის გაშვერა... ეს არის საქართველოში პოლიტიკური რადიკალიზმის ისტორია. მოვლენათა მოკლე ქრონოლოგიური გადმოცემის შემდეგ, ავტორი აღწერს სამ დასკვნას, რომელიც საზოგადოებამ გამოიტანა 9 აპრილიდან. ადგილის მოსაგებად მე ოდნავ ვცვლი ფორმულირებას:

1) მხოლოდ რადიკალიზმია ძალისა და იდეური სიმტკიცის მანიშნებელი; ურთიერთობაში კომპრომისი და ვითარების ანალიზი მხოლოდ სისუსტის ნიშანია;

2) ხალხი ბუნებრივად ინერტულია და რადიკალიზმი მის სტიმულირებას ახდენს;

3) მარცხდება ის, ვისაც აწვება ძალის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მხოლოდ მოცლილი პოლიტოლოგის აბსტრაქციაა? ახლა ვნახავთ, რომ იგივე დასკვნები მეორდება სულ სხვა ხასიათის ტექსტში, რომელიც "24 საათის" იმავე ნომერში გამოქვეყნდა. მხედველობაში მაქვს **ლაშა ბუღაძის** სვეტი სათაურით *დისციპლინა*. დაიმახსოვრეთ გია ნოდიას დასკვნათა მიმდევრობა? ახლა სამი მოკლე ციტატა ლაშა ბუღაძის ჩანახატიდან:

1) "**ჩვენი უახლესი ისტორია ერთი უწყვეტი, პერმანენტული მიტინგია, რომელიც, გულწრფელად რომ ვთქვათ, უკვე აღარც არის მიტინგი ეს არის დისციპლინა, ეს არის ცხოვრება**".

2) "**ქართველი მორალური უპირატესობის განცდით მიდის მიტინგზე და არა ვიტრინების ჩასალეწად. ქართველი იქ იმიტომ მიდის, რომ ცუდ მიკროფონებში ზნეობაზე ილაპარაკოს. თვითშეფასება იქ ქართველს მაღალი აქვს**".

3) "**როცა საქმე მიტინგამდე მიდის, მერე მხოლოდ დათმობაა საჭირო. რაც ნაკლებს დათმობ, მით მეტს დაკარგავ. ასე გვასწავლა ჩვენმა უახლესმა ისტორიამ**".

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ისტორიის ანალიზი და იმავე ისტორიის გარშემო სატირული ირონიზირება ერთ შედეგს იძლევა. აქ შეგვიძლია კიდევ ერთხელ შევჩერდეთ და დავფიქრდეთ, რატომ ხდება, რომ "ქართლის ბედისათვის" ყველაზე არსებითი აზრები ამავე დროს ყველაზე ზედაპირულიცაა? მაგრამ განვაგრძოთ სვლა.

აქ კი ჩვენი via crucis ახალ გაჩერებას მიადგება და ეს არის გვემა, ანუ "ძალის გამოყენება". გია ნოდია ბევრს და ზოგჯერ მეტაფორულადაც მსჯელობს ამ პრობლემის გარშემო. მთავარი მეტაფორა არის ის, რომ რადიკალური ოპოზიციის სტრატეგია ემსგავსება "ნატვრის ხის" იმ დონდლო პერსონაჟს, რომელსაც გასაცოცხლებლად გალაწუნება სჭირდება. გალაწუნებაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება წრეგადასული პროტესტის რუტინული აღკვეთა და წესრიგის დამყარება.

ოღონდ რუტინული მხოლოდ დისტანცირებული მაყურებლისთვისაა. ლაშა ბუღაძის მიერ აღწერილი ტიპური და საქმეში უშუალოდ ჩართული სუბიექტი იტყვის: "ქართველი ერი გალახეს!" ან რაღაც ამგვარს. ამავე დროს ეს "ქართველი ერი" მშვიდად ისმენს **მაია ასათიანის** გადაცემაში "პროფილი" პატიმარი ქალის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაარტყა ქმარს სახრახნისი თუ რაღაც ამგვარი აორტაში, მაგრამ როგორ უყვარს, მიუხედავად ამისა, თავისივე მოკლული ქმარი. არა მარტო უსმენს, არამედ პაუზებში ტაშსაც კი უკრავს... შევჩერდეთ ახლა და ვიკითხოთ: მართლა ასე გვანაღვლებს ძალადობა? არა თუ ცემა-ტყეპა, მკვლელობაც კი მხოლოდ მაშინ გვაღელვებს, როცა არსებობს პოლიტიკური კონტექსტის შესაძლებლობა, როცა ყველას თუ არა, ზოგიერთს მაინც უხსნის გზას ძალაუფლებისკენ.

დავუბრუნდეთ გია ნოდიას. ამ ბოლო თვალსაზრისით, ყველაზე ნიშანდობლივია შემდეგი ადგილი: "**როცა ხალხს ჰპირდები, რომ სააკაშვილს გააგდებ და აშკარაა, რომ ამის რესურსი მშვიდობიანი აქციის პირობებში არა გაქვს, ან აშკარა ბლეფზე მიდიხარ (და როცა ეს გამოაშკარავდება, სერიოზულად აღარავინ შეგხედავს), ან რაღაც სხვისი იმედი გაქვს, რასაც წინასწარ არ ამბობ**". ვთქვათ, ძალიან გადააფასა **ძიძიგურისა** და **ბესელიას** გონებრივი შესაძლებლობები ჩვენმა ავტორმა: ძნელი დასაჯერებელი კი არის, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ვითარების ამ დონეზე განხილვაც კი სრულიად უცხოა მათთვის.

მაგრამ ვიღაცის სიბრიყვე არასოდეს არის არც გამართლება და არც ნუგეში, თუნდაც ეს ვიღაც მოწინააღმდეგე იყოს. ზემოთ მოყვანილმა ციტატამ ერთგვარად გამიქარვა უკმაყოფილება, რომელიც წინა კვირის ჩემი სტატიიდან გამომყვა და ახლა უკვე შემიძლია ვთქვა: რადიკალური ოპოზიციის მიერ დასახული მიზნის მისაღწევი ერთადერთი გზა შეიარაღებული ბრძოლაა, მაგრამ დამოუკიდებლად ამის განხორციელების შანსი მათ არა აქვთ. მრავალი მიზეზის გამო.

ამიტომაც გაუგებარი და ანტიპათიურია ის კეკლუცობა, როდესაც გაუთავებლად ლაპარაკობენ მშვიდობიან და ამავე დროს რადიკალური დასასრულის მქონე პროტესტზე, რომ არა ვთქვათ იმ უცნაურობაზე, რომელიც აღინიშნა სახალხო დამცველის ოფისში გამართული პრეზენტაციით, სადაც საზოგადოებას წარუდგინეს "აქციის მშვიდობიანობის გამკონტროლებელთა" საგანგებოდ შეკერილი ფორმები. ამაზე უფრო გასაოცარი იყო თვით **სოზარ სუბარის** განცხადება: "**ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან ხშირად ირღვევა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. 23 ადამიანი მიეცა პასუხისმგებაში მხოლოდ იმიტომ, რომ საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა. ასეთი რამ საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ მომხდარა**".

რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ? ახლა ის მაინც გასაგებია, თუ რა აზრს ატარებს გია ნოდიას სტატიის სათაური: "ორ ცხრა აპრილს შორის გაჩხერილი საქართველო".

მაგრამ ამ თემაზე დიდხანს შეჩერება არ გვმართებს. ბოლოს და ბოლოს, მიტინგი ჯერ არ დაწყებულა და უკვე იქცა გასართობი შოუების ობიექტად. თუმცა არის ერთი მომენტი, ერთი თითქოსდა ჩრდილში მოქცეული გარემოება, რომელიც კვლავ საქართველოს ხელისუფლების მიერ თავისი ვალის შესრულებას უკავშირდება, მაგრამ ამავე დროს გვაბრუნებს უკვე დაპირებულ ახსნა-განმარტებასთან: რატომ გამახსენდა თავზე ნაცრის დამყრელი ქართველები, როცა გია ნოდიას სტატია წავიკითხე.

ჯერ ერთი ფრაგმენტი **ალექსანდრე რონდელის** 1 აპრილს გამოქვეყნებული ინტერვიუდან. მაია ჭალაგანიძის შენიშვნაზე, რომ "**აგვისტოში ... ყველა დასავლური ღირებულება დაირღვა და გამოჩნდა, რომ თურმე ძალა კიდევ მთავარია**", ნომრის სტუმარი მიუგებს: "**დიახ, აბსოლუტურად ყველა ღირებულება დაირღვა. რუსეთმა იმიტომ გაბედა ეს, რომ იცოდა, შერჩებოდა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანას საკუთარი თავის გარდა არაფერი აღელვებს**". მართალია, ამის შემდეგ ალექსანდრე რონდელი შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში რამდენიმე პოზიტიურ მომენტსაც გამოყოფს, მაგრამ ეს არ აუქმებს მისი პასუხის მნიშვნელოვან დასაწყისს. ამის გარდა მნიშვნელოვანია რესპონდენტის საბოლოო დასკვნა: "**ამ დიდი ქვეყნების ჭიდილში ჩვენსავით პატარა ქვეყანა სტაბილური უნდა იყოს**".

ახლა კი კვლავ გია ნოდიას დავუბრუნდეთ. აქ კარსმომდგარი 9 აპრილის შესაძლო შედეგთა ჩამონათვალში ვკითხულობთ: "**მეორეა ქვეყნის იმიჯის კიდევ ერთხელ და ძალიან სერიოზულად შელახვა. რუსთაველზე სისხლისღვრისა და სერიოზული ქაოსის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური აქციები მკვეთრად დაეცემა**". რა კავშირია ამ სამ მომენტს შორის? - 1) თავზე ნაცრის დაყრა ჩვენი "უღირსობის" გამო; 2) დასავლეთის ფაქტობრივი მარცხი რუსეთის პოლიტიკური "ახვრობის" წინაშე; 3) სიფრთხილე იმიჯის შესაძლო დაკარგვის გამო.

კავშირი აშკარაა: ჩვენი იმიჯის შესაძლო დაზიანება არაფერია იმასთან შედარებით, რომ რუსეთის თავხედობის წინაშე აღმოჩენილმა დასავლეთმა (და არა მარტო ევროპამ, არამედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც) **სახე** დაკარგა. სწორედ მსოფლიოსათვის ამის ახსნა არის დღეს ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა და არა ბრმა და ავტომატური პასუხი ყველა, თუნდაც უმცირეს მოთხოვნაზე იმათგან, ვინც საქართველოსთან შედარებითაც კი ნულოვანი სამხედრო პოტენციალის ალბანეთი და ასევე საქართველოსთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებ დემოკრატიული ხორვატია მიიღო ნატოში. დროა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები სრულად და დაუფარავად განცხადდეს, დასავლეთისთვის გასაგებ ენაზე. დროა ღიად დავიწყოთ დასავლეთის სინდისისადმი აპელირება, თუ ეს სინდისი მას ჯერ კიდევ შერჩა.

სამწუხაროდ, ჩვენი ავტორი სტატიის ბოლოს მაინც ვერ ძლევს თავის რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებას და შექმნილ ვითარებაში "სამეუფო გზის" ძიებას მიჰყოფს ხელს: როგორ მოვიქცეთ, რომ არც ოპოზიციას დავანგრევინოთ ქვეყანა და დასავლეთსაც ჩვენზე აზრი არ შეეცვალოს? ამგვარი ტაქტიკის შედეგი ბევრჯერ მიჩვენებია და, ვფიქრობ უკვე დროა ჩამოვაყალიბოთ **ნოდარ ლადარიას** პირველი კანონი (საქართველოს მასშტაბით ამერიკელი შოუმენი **ლარი კინგი** თუ ვერ გავხდით, ბრიტანელ კოლუმნისტთან, **ჯონ ო სალივანთან** ჩვენი შედარება სრულიად კანონიერი უნდა იყოს): "**როცა პიროვნება ან ორგანიზაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ზუსტი ცენტრის მოძებნას ცდილობს, ის ყოველთვის ამოჰყოფს თავს ისეთ პოზიციაში, რომლის თანახმად, შექმნილი ვითარებიდან გამოსვლისათვის დათმობის თუ ძალისხმევის უმეტესი წილი სახელმწიფო ინტერესებზე მოდის**.

ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვარდება გია ნოდიაც, რაზედაც მოწმობს სტატიის საბოლოო დასკვნა: "**გადამწყვეტია სიმტკიცის და მოქმედების პროპორციულობის შეხამება ... ხანდახან, სახელმწიფოს აქვს უფლება და ვალდებულება ძალა გამოიყენოს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, თუნდაც პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. მაგრამ თუკი ის ამას გააკეთებს, გონიერ ადამიანებს შინ და გარეთ უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ძალის გამოყენება სამართლიანი, ანუ აუცილებელი, ადეკვატური და სიმეტრიულია**". სხვა სიტყვებით, 9 აპრილს ბეწვის ხიდზე მხოლოდ **საკაშვილის** ხელისუფლებამ უნდა გაიაროს, თორემ ოპოზიციასა და უზენაეს მსაჯულ დასავლეთს ისედაც ხახვივით შერჩებათ ყველაფერი.

სტატიაში მოყვანილი მშვენიერი ანალიზის შემდეგ ასეთი ცალმხრივი დასკვნა მართლაც დასანანია.

რამდენიმე დღის წინ წავიკითხე გია ნოდიას ინგლისური სტატია, რომელიც შესანიშნავი აფორიზმით მთავრდებოდა: "**როცა საქმე ღირებულებებს ეხება, ნეიტრალიტეტზე უარეს პოლიტიკას ვერ ვიპოვით**". რას იტყვის კაცის ენა ამაზე მართალსა და უკეთესს?! სწორედ რომ დროა პირად ნეიტრალიტეტზე უარი ვთქვათ და urbi et orbi, ქალაქსა და ქვეყნიერებას განვუცხადოთ, რომ თუ ჩვენ დღეს მძიმე ნაბიჯების გადადგმა გვიხდება საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, თავისი წილი პასუხისმგებლობა ქალაქმაც უნდა გაიზიაროს და ქვეყნიერებამაც.

თორმეტი ნაბიჯი

"რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"

თორმეტი ნაბიჯი კარგად ცნობილი და აპრობირებული პროგრამაა, რომელიც ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალოდ გამოიყენება. მისი არსია: გახსოვდეს, რომ ავად ხარ და სხვების დაუხმარებლად ამ პრობლემას თავს ვერ გაართმევ. მაგრამ ასე იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ეს ადამიანები არ სძულთ და, რაც მთავარია, აქვთ იმედი, რომ როგორც სხვა ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულები, ისინიც გახდებიან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ამიტომაც იხარჯება ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მკურნალობაზე სოლიდური თანხები. სამწუხაროდ, ჩვენ იმ ქვეყნების რიგში არ მოვიაზრებით. რუბრიკას თორმეტი ნაბიჯი მხოლოდ ასოციაციით დავარქვით. შეძლებისდაგვარად ვეცდებით, მიმოვიხილოთ ყველა თემა თუ საკითხი, რომლებიც მთლიანობაში ნარკოპოლიტიკის შემუშავებას ემსახურება. აქვე დავძენთ, რომ გავითვალისწინებთ ყველა რჩევასა და რეკომენდაციას, რომელსაც მკითხველი შემოგვთავაზებს.

სოფიო თოდუა

რადგან ჩვენც საზოგადო ჭირზე უნდა ვილაპარაკოთ, თავს უფლებას მივცემთ, ილიას ცნობილი წერილის ცნობილი სათაური გამოვიყენოთ. ამ საზოგადო ჭირს ნარკომანია ჰქვია - თავისი ყველა თანმხლები დეტალით. სამწუხაროდ, ამ მხრივ სანუგეშო კვლავინდებურად ცოტა გვაქვს და რაც გვაქვს ის ვერანაირად ვერ გადაწონის იმ ნეგატიურ ფონს, რაც ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიასთან დაკავშირებით შეიქმნა. ამისდა მიუხედავად, ჩვენც, ჟურნალისტებსაც, პირველ რიგში კი ამ სფეროში მომუშავე სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებს, გულწრფელად გვინდა იმ გზას დავადგეთ, რომელიც სამშვიდობოს გაგვიყვანს და სამყაროს ცივილიზებული ნაწილის თვალში მუდმივად უხერხულ მდგომარეობაში არ გვამყოფებს.

"პირველ რიგში, მინდა, საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვხატო უდიდესი მადლიერება თქვენი და კომისიის წევრების მიმართ ნარკოტიკების კომისიის 52-ე სესიისა და მაღალი რანგის შეხვედრის ჩატარებისთვის და დავადასტურო საქართველოს ერთგულება 1961, 1971 და 1998 წლების კონვენციების მიზნებისა და იდეებისადმი," - ეს სიტყვები დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ აკაკი გამყრელიძემ ვენაში, გაერო-ს ნარკოტიკების კომისიის 52-ე სესიაზე გამოსვლისას წარმოთქვა. უკვე ის ფაქტი, რომ ამ მაღალი რანგის შეხვედრაზე საქართველოც იყო წარმოდგენილი, უდავოდ მისასალმებელია. სასიხარულოა ისიც, რომ ბატონი აკაკის სიტყვაში ასევე დაფიქსირდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა, კერძოდ შემდეგი: "მიუხედავად საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეული დადებითი შედეგებისა, ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რიცხვი არ მცირდება." თუ მკითხველის "გახარება" გვინდა, ბარემ ბოლომდე გავახაროთ და დავადასტუროთ, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი არსად არ მცირდება - არც ეკონომიკურად დაწინაურებულ და არც ეკონომიკურად დალხენილ ქვეყნებში. რა გითხრათ ამასთან დაკავშირებით? მხოლოდ ერთი: ვენაში დაგეგმილი თავყრილობა სწორედ ამ სამწუხარო რეალობას მიეძღვნა. აქვე გეტყვით, რომ ვენის შეხვედრას, სადაც წარმოდგენილი იყო გაერო-ს წევრი თითქმის ყველა ქვეყანა, საქართველოდან ასევე ესწრებოდნენ გიორგი მელიქიძე (შსს სოდის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი) და დავით ოთიაშვილი ("ალეტრნატივა ჯორჯიას" დირექტორი)..

გაერო დეკლარაციებს თავის მოსატყუებლად არ ღებულობს. პრობლემა, რომელსაც ჩვენ საზოგადო ჭირი ვუწოდეთ, ათი წლის წინათაც არანაკლებ აქტუალური იყო. ეს საკითხი 1998 წელს გენერალურ ასამბლეაზეც განიხილეს. გენერალური ასამბლეა კი, მოგეხსენებათ, უკიდურესად მნიშვნელოვან თემებზე სადისკუსიოდ იკრიბება. ათწლიანი სამოქმედო გეგმა ნარკოტიკების საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას გულისხმობდა. მაშინ აქცენტი გაკეთდა როგორც ნარკოტიკების ბრუნვაზე კონტროლის გამკაცრებაზე, ასევე პრევენციული ზომების მიღებასა და ზიანის შემცირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს წევრმა ბევრმა ქვეყანამ გარკვეული მიმართულებით ხილულ შედეგებს მიაღწია, ათი წლის თავზე გაერო იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ნარკოტიკების ბრუნვა არ შემცირებულა და მომხმარებელთა რაოდენობის კლებაც არ შეიმჩნევა. სამაგიეროდ, იმატა შიდსისა თუ სხვა საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელებამ ნარკოტიკების ინტრავენულ მომხმარებელთა შორის. ამ სამწუხარო ფაქტებზე დაყრდნობით, გაერო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში აქცენტი უნდა გაკეთდეს არა იმდენად ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობის კლებასა და შემცირებაზე, არამედ ზიანის შემცირებასა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე.

ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ კეთილი ნება, კომპეტენტური სტრუქტურების ძალისხმევა და სოლიდური ფინანსური მხარდაჭერა საკმარისია ნარკოპოლიტიკის პრიორიტეტების კარდინალურად შესაცვლელად, მით უფრო მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება კანონის გამკაცრებაა. მაგალითად, აზიის მთელ რიგ ქვეყნებში (ტაილანდში, მალაიზიაში, ირანში ...) მართლაც შემცირდა ნარკომანთა რაოდენობა, ოღონდ ამ კლების მიზეზია მათი ციხეებში გამომწყვდევა ან სულაც მათი ფიზიკური განადგურება. მასშტაბებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ამ მხრივ ვერც ჩვენ დავიკვეხნით, რადგან დღევანდელი კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების მხოლოდ მომხმარებლებსაც კი ციხეში უშვებს. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ამ შემთხვევაში საერთოდ არ აინტერესებს, დაკავებული წამალდამოკიდებულია თუ მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. მეტიც, მაგალითად, მარიხუანა ორგანიზმში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ტოვებს კვალს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგაც დაკავების დროს ვიღაცას აუცილებლად დაუდგინდება, რომ ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პენიტენციალურ სისტემაში პატიმრები ნარკოტიკებს მაინც მოიხმარენ, რის გამოც მათი შიდსითა თუ "C" ჰეპატიტით დაინფიცირების შანსი მატულობს.

აღარაფერს ვამბობთ სრულ ქაოსზე, რაც სტატისტიკური მონაცემების მოძიებისას იჩენს თავს. ადვილი არ არის, ეჭვი შეიტანო ამ დარგში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფო სტრუქტურების პროფესიონალიზში, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული ციფრების დასახელება მხოლოდ ეჭვს ბადებს - მაინც, რამდენი ნარკოდამოკიდებული გვაყავს: 70, 150, 200 თუ 250 ათასი? ასევე ძნელია დაიჯერო, რომ პარლამენტი მართლა აპირებს ცვლილებების შეტანას არსებულ კანონმდებლობაში - ძნელია იმიტომ, რომ ორი ვარიანტი, რომელზეც საზოგადოება დიდ იმედს ამყარებს, ვერა და ვერ ხვდება განსახილველი კანონპროექტების სიაში. ერთის თანახმად, რომლის ინიციატორია "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი", ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას ითვალისწინებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მომხმარებელი ციხეში არ უნდა მოხვდეს. გათვალისწინებულია ისიც, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ის ნარკოტიკს მოიხმარს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. და თუ მაინც მოიხმარს საჯარო სივრცეში, ის, კანონის ინიციატორთა გათვლით, 100 ლარით დაჯარიმდება. ასევე უნდა გაუქმდეს ის შეზღუდვები, რომლებიც ნარკომომხმარებლებს ამა თუ იმ საქმიანობას უკრძალავს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნარკოდამოკიდებულ ადამიანს ერთხელ მაინც უნდა მიეცეს სახელმწიფოს ხარჯზე მკურნალობის უფლება. რაც შეეხება მეორე განსახილველ კანონპროექტს, რომელსაც პარლამეტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ლობირებს, მართალია, ნაკლები დოზით, მაგრამ ისიც არსებული მდგომარეობის ჰუმანიზაციას ისახავს მიზნად და გამსაღებლებისა და მომხმარებლების გამიჯნვას მოითხოს. ამ ვერსიის ინიციატორებიც მიიჩნევენ, რომ მომხმარებელი ციხეში არ უნდა მოხვდეს, თუმცა ისინი ადმინისტრაციული ჯარიმების ზრდას (პირველ ჯერზე 300, შემდეგ კი 900 და 2000 ლარი) მიესალმებიან. ეჭვი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში პარლამენტი ყველაფრისთვის მოიცლის, ნარკოპოლიტიკის გარდა.

ისევ ავსტრიას დავუბრუნდეთ. როგორც დავით ოთიაშვილი განგვიმარტავს: "ვენაში ორი მნიშვნელოვანი შეტყობინება მოვისმინეთ: ჯერ ერთი, გაერო-ს წევრი ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აქცენტი ზიანის შემცირებასა და პრევენციაზე უნდა გაკეთდეს; და მეორეც - საქართველო მზად არის, ჩაებას ამ პროცესში, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ვუერთდებით გაერო-ს წევრ ქვეყნებს, შესაბამისად ვიღებთ კიდეც გარკვეულ ვალდებულებებს და მხოლოდ ქაღალდზე აღარ დავწერთ სამოქმედო გეგმებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი მზაობის შემთხვევაში დახმარებაც მეტი გვერგება." მაგრამ სანამ გაერო-ს ნარკოტიკების კომისიის 52-ე სესია დაიგეგმებოდა, ერთი წლით ადრე დაიწყო იმ შედეგების შეჯამება, რომლებიც 1998 წელს გენერალურ ასამბლეაზე დასახული გეგმებისა და ამოცანების შეფასებას ისახავდა მიზნად. ცნობისათვის, საქართველო (დ. ოთიაშვილი) ამ პროცესშიც იყო ჩართული. მაშინ შეხვედრის მონაწილე დელეგატები არც ცხარე დებატებს მორიდებიან და არც მკვეთრ განცხადებებს, რაც საბოლოოდ აისახა კიდეც გაერო-ს დღევანდელ პოზიციაში ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით. ნარკოკომისიას მიაჩნია, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ნება - შესაბამისად, მაღალი რანგის შეხვედრებზე პოლიტიკური დეკლარაციები მიიღება, რომლებიც შემდგომ გენერალურ ასამბლეას წარედგინება. ახალ კიდევ უფრო ნათელია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა. სხვა საქმეა, ამჯერად მაინც თუ შესრულდება გაერო-ს რეკომენდაციები.

რა გვაქვს სანუგეშო? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ნარკომანების მკურნალობის ერთადერთი მეთოდი, ჩანაცვლებითი თერაპიაა მიღებული, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯია. ჯერ კიდევ 2 წლის უკან არავის სჯეროდა, რომ მეტადონის პროგრამა ოდესმე საქართველოშიც ამუშავდებოდა. ამ შემთხვევაში უტყუარ სტატისტიკურ მონაცემებთან გვაქვს საქმე. 2008 წელს ჩანაცვლებითი თერაპია მხოლოდ 300 ნარკოდამოკიდებულზე იყო გათვლილი. მათგან 230 კაცი "გლობალური ფონდის" დახმარებით სრულიად უფასოდ გადიოდა თერაპიის კურსს, დანარჩენები თანადაფინანსების პრინციპით თვეში, დაახლოებით, 150 ლარს იხდიდნენ, თანხის დანარჩენ ნაწილს კი სახელმწიფო ფარავდა. წლევანდელი მონაცემებით, ამ ტიპის მკურნალობით უკვე 900 კაცი სარგებლობს - გადანაწილების, დაახლოებით, იმავე პრინციპით. თუ თვალს მივადევნებთ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამას, წარმატებებზე ლაპარაკი ალბათ შეიძლება. ასე მაგალითად, მარტო 2009 წლის სამი თვის მონაცემებით პროგრამიდან გეგმიურად გასული პაციენტების რიცხვი (ანუ ვინც ექიმის რეკომენდაციით შეწყვიტა მკურნალობა) უფრო ნაკლებია (33), ვიდრე არაგეგმიურად (ვინც თვითნებურად შეწყვიტა მკურნალობა სხვადასხვა მიზეზით) გასულთა რაოდენობა (17). ასევე გაიზარდა ნარკოლოგიის სფეროზე გამოყოფილი თანხა (2007 წელს - 250 000 ლარი; 2008 წელს - 900 000 ლარი; 2009 წელს - 1 400 000 ლარი), თუმცა ზრდის მიუხედავად, რეაბილიტაციის პროგრამებზე კვლავინდებურად მინიმალური თანხაა ნავარაუდევი და მხოლოდ 225 პაციენტს თუ გასწვდება. არცაა გასაკვირი: ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას მარტო სახელმწიფო ვერ შეძლებს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო თითქმის არანაირ შეღავათებს არ უწესებს ამ პროფილის კერძო კლინიკებს, რომელთაც ახლო მომავალში შეუძლიათ სარეაბილიტაციო პროგრამების ამუშავება. არადა, ეს მართლაც აუცილებელია, რადგან ჩანაცვლებითი თერაპია ვერანაირ შეღავათს ვერ აძლევს კუსტარული წარმოების სტიმულატორებზე ("ჯეფი" "ვინტი" და ა.შ.) დამოკიდებულ პაციენტებს. არადა, ამ კატეგორიის მომხმარებელთა რიცხვი ჩვენთანაც საგრძნობლად მატულობს იმ მიზეზით, რომ ისინი სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით საგრძნობლად იაფია.

"როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადაიქცევა ხოლმე" - ესეც ილიას სიტყვებია. ვერ გეტყვით, კიდევ რამდენჯერ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ამ პრობლემაზე, მაგრამ რომ უნდა გავამახვილოთ, ეს უდავოა, რადგან თქმა ქმნად ჯერ არ ქცეულა.

როგორ უნდა დაიცვათ თავი ძალადობისგან

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

ოჯახური ძალადობის სტატისტიკა მთელი მსოფლიოს მასშტაბით შემაშფოთებელია. აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ქვეყანაში ყოველწლიურად ორი ათასზე მეტი ადამიანი მოკლულია ოჯახის წევრის ან უახლოესი პარტნიორის მიერ და ეს ტენდენცია წლების მანძილზე უცვლელი რჩება. საქართველოში კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ" წელიწადნახევარზე მეტია ძალაში შევიდა, თუმცა მისი არსებობა ბევრმა არც იცის.

ქართულ რეალობაში ოჯახური ძალადობის თემა, მართალია, აქტუალურია, თუმცა ბევრი მსხვერპლი ვერ ბედავს სასამართლოს მიმართოს ან უბრალოდ, არ იცის, რომ არსებობს კანონი, რომელიც მათ მოძალადისგან დაიცავს.

კანონი ძალადობის აღსაკვეთად დამცავი და შემაკავებელი ორდერის გაცემის მექანიზმს იყენებს, რომლებსაც სასამართლო გამოსცემს და ამტკიცებს. უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. სასამართლო, წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში, განიხილავს ორდერის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

საშინაო ძალადობის საქმეებში სასამართლო ინტერვენციის მიზნებია: ძალადობის შეწყვეტა; შეურაცხყოფილი მხარის დაცვა; ბავშვებისა და ოჯახის წევრების დაცვა; საზოგადოების დაცვა; მოძალადის პასუხისგებაში მიცემა; მოძალადის რეაბილიტაცია; შეურაცხყოფილი მხარისთვის ზარალის ანაზღაურება და რაც მთავარია, საზოგადოებითვის იმის თქმა, რომ საშინაო ძალადობა არ იქნება შეწყნარებული.

საქართველოში ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ არა ერთმა მსხვერპლმა მოახერხა მოძალადე ოჯახის წევრის ან პარტნიორისგან კანონიერად თავის დაცვა. სასამართლოებში ასეთი საქმეები ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ შემოგთავაზებთ ქართული მართლმსაჯულების, კონკრეტულად, რუსთავის სასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე პრეცედენტულ საქმეს.

"გმადლობთ!" - სასამართლოში დატოვებული ჩანაწერი

მსხვერპლისა და მოძალადის ისტორია, რომელიც სასამართლომ განიხილა მამა-შვილს ეხება. მამის ძალადობისგან შეწუხებულმა გოგონამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა და მათთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში განაცხადა: "ვცხოვრობ დედის სახელზე გაფორმებულ ბინაში. მამაჩემი დედასთან ოფიციალურად არის განქორწინებული. მამა ამოვიდა სახლში და ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა. გამარტყა სახეში, რის შემდეგაც გამოვედი სახლიდან და პატრული გამოვიძახე. მამის მხრიდან მსგავს ქმედებებს სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი. რამდენჯერმე გავაფრთხილე კიდეც, რომ შესაბამის ზომებს მივიღებდი და გამოვიძახებდი საპატრულო პოლიციას."

პატრულმა შემაკავებელი ორდერი ადგილზე შეადგინა და დასამტკიცებლად სასამართლოში გადააგზავნა.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მამა ნაწილობრივ დაეთანხმა შვილის ბრალდებებს, თუმცა განმარტა, რომ კონფლიქტის მიზეზი თავად ქალიშვილის ქცევა გახდა, რომელიც საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი მამის მიმართ. მამამ განაცხადა, რომ შვილის რთული ხასიათის გამო ერიდება მასთან ურთიერთობას და დროის უმეტეს ნაწილს თავის კუთვნილ კომერციულ ფართში ატარებს, სახლში კი, სადაც შვილი ცხოვრობდა, მხოლოდ მოსაწესრიგებლად და საჭმელად მიდიოდა.

რუსთავის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მამის მხრიდან შვილზე, ანუ მსხვერპლზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას. მოსამართლემ დაამტკიცა მოძალადეზე გაცემული შემაკავებელი ორდერი და მას 10 დღის განმავლობაში აეკრძალა იმ სახლთან მიახლოება, სადაც შვილი ცხოვრობდა. თავის მხრივ, მსხვერპლს მიეცა 10-დღიანი ვადა დამცავი ორდერის მიღების შესახებ სასამართლოში განცხადების შესატანად. მხარეებს განემარტათ, რომ მხარეთა შერიგება არ აუქმებს შემაკავებელ ორდერს, თუ ოჯახში ძალადობის ფაქტი ლახავს სხვა წევრთა, განსაკუთრებით კი, შვილების ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში დარჩა მამის მსხვერპლი შვილის ჩანაწერი, რომელიც მან სხდომის ბოლოს წაიკითხა:

"სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, წლები დამჭირდა გავთავისუფლებულიყავი და თავიდან ამეშორებინა ის დამთრგუნველი და არაადამიანური გრძნობა, რომელიც მსხვერპლს მუდამ თან სდევს. გმადლობთ!"

ორდერი მოძალადე ქმრისთვის

რუსთავის სასამართლომ კიდევ ერთი საქმე განიხილა. ნ.ნ. და ლ.ლ. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ერთად ცხოვრებისას შვილი შეეძინათ, თუმცა მალევე დაშორდნენ და ქალი მშობლების სახლში გადავიდა საცხოვრებლად. ყოფილმა მეუღლემ, რომელიც ნასვამი იყო, ცოლს მიაკითხა და შერიგებას სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. განაწყენებულმა კაცმა ქალს ხმამაღალი ყვირილი და გინება დაუწყო. ემუქრებოდა, თუ არ შემირიგდები, არ მოგასვენებ, ყოველდღე მოვალო. შემდეგ მან ქალს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. მსხვერპლი იძულებული გახდა საპატრულო პოლიციისთვის მიემართა.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოძალადე ნაწილობრივ დაეთანხმა პატრულის მიერ გაცემულ შემაკავებელ ორდერში მითითებულ გარემოებებს, თუმცა განაცხადა, რომ ნასვამი იყო, შერიგების მიზნით მივიდა ყოფილ მეუღლესთან, რომლის უარმაც ისე გაანაწყენა, რომ თავი ვერ შეიკავა უცენზურო გამონათქვამებისგან. ცემის ფაქტი კი უარყო.

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოუსმინა მხარეთა ახსნა-განმარტებებს და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას მსხვერპლის მიმართ, ანუ შემაკავებელი ორდერის შედგენისას არსებობდა ყველა ის გარემოება, რაც მას საფუძვლად დაედო.

სასამართლომ დაამტკიცა პატრულის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადე ყოფილ ქმარს 30 დღის განმავლობაში აეკრძალა იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობდა. თავად მსხვერპლს კი 30-დღიანი ვადა მიეცა სასამართლოში დამცავი ორდერის მიღების შესახებ განცხადების შესატანად. თუ მსხვერპლი ამ ვადაში დამცავ ორდერს არ მოითხოვს, შემაკავებელი ორდერის მოქმედება 30 დღეში შეწყდება.

დავა რძალ-დედამთილს შორის

რძალ-დედამთილს შორის მიმდინარე დავის გამო, დედამთილმა სასამართლოს დამცავი ორდერის გაცემაზე განცხადებით მიმართა. განცხადებაში მითითებული იყო, რომ რძლის დამოკიდებულება დედამთილის მიმართ არის აგრესიული, აყენებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. დედამთილს ამის გამო სახლიდან წასვლა და ღამის გათევა ნათესავებთან უწევს. ნათესავთან თავშეფარებულ დედამთილს რძალმა მიაკითხა და კვლავ მიაყენა შეურაცხყოფა. ხანდაზმულ ქალს ნერვიულობის გამო წნევამ აუწია და სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო. ნათესავები ამ ინცინდენტის მოწმეები გახდნენ.

სასამართლომ დედამთილის განცხადება ხარვეზების გამოსწორების შემდეგ წარმოებაში მიიღო და მისი განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე დანიშნა.

სხდომაზე ორივე მხარე გამოცხადდა. რძალი არ დაეთანხმა განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს და წარადგინა სამედიცინო ცნობა, რომლის მიხედვითაც, დედამთილს ფსიქიკური მდგომარეობის გამო სისტემატიური მკურნალობა ესაჭიროებოდა. მისი განმარტებით, მას დედამთილისთვის არასოდეს მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა და არც ბინაში ცხოვრება აუკრძალავს.

სასამართლომ საქმის მასალების შესწავლის შემდეგ დამცავი ორდერის გაცემის შესახებ განადაწყვეტილება მიიღო. დადასტურდა, რომ რძლის მხრიდან დედამთილზე მართლაც ჰქონდა ადგილი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, ასევე საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლას. რძალი მიჩნეულ იქნა მოძალადედ, მასზე გაიცა დამცავი ორდერი სამი თვის ვადით და აეკრძალა დედამთილზე რაიმე სახის ძალადობა ან ბინით სარგებლობის შეზღუდვა.

საჯარო რეესტრის გაუმჯობესებული სისტემა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შიდა საკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ყველა სარეგისტრაციო სამსახურში IP ტელეფონების სისტემის დანერგვა დაიწყო. სააგენტოს ყველა თანამშრომელი უკვე ინდივიდუალური IP ტელეფონით ისარგებლებს.

აღნიშნული სერვისის მეშვეობით გამარტივდება ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლებს შორის სატელეფონო კავშირი, რაც სააგენტოს შიდა კომუნიკაციას და შესაბამისად, მოქალაქეთა მომსახურებას ბევრად უფრო სწრაფს და ეფექტურს გახდის.

გარდა ამისა, IP ტელეფონების დანერგვა ხელს შეუწყობს სააგენტოს ფინანსების დაზოგვას, შემცირდება საქალაქთაშორისო საუბრებისა და კორპორაციული ნომრების გადასახადები.

მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრში ელექტრონული პროგრამების დანერგვა დაიწყო, საჭირო გახდა სააგენტოს შიდა საკომუნიკაციო ქსელის გაუმჯობესება, ვინაიდან სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლებს შორის ხშირად იქმნებოდა სატელეფონო კავშირის პრობლემა. გარდა ამისა, საკმაოდ მაღალი იყო გადასახადის რაოდენობაც. სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურები საქართველოს 65 ქალაქსა და რაიონში ფუნქციონირებს.

2009 წლის ივლისამდე დაგეგმილია IP ტელეფონების დანერგვა ყველა ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში.

რამდენიმე წელია საჯარო რეესტრში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური რეფორმა მიმდინარეობს, რამაც საშუალება მოგვცა, მოქალაქეთათვის მომსახურების ახალი, ეფექტური სერვისები შეგვეთავაზებინა. ამის მიღწევა საკმაოდ გაგვიჭირდებოდა, თუკი შიდა სამსახურეობრივი საქმიანობა არ იქნებოდა გამართული და მოდერნიზებული. ამიტომ, შიდა საქმიანობის ოპტიმიზაციის პირველ ეტაპზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა დავიწყეთ, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სააგენტოს მმართველობითი საქმიანობა, - აცხადებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე სოსო ნიქარიშვილი. მისივე განმარტებით, გარდა IP ტელეფონებისა, სააგენტოს შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა პროგრამებიც დაინერგა: შემუშავდა მომხმარებელთა მხარდაჭერის სისტემა (help desk), რომელიც დღეისათვის ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულ 55 სარეგისტრაციო სამსახურსა და სააგენტოს ცენტრალურ ოფისში მოქმედებს; დაინერგა ასევე ინვენტარიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელშიც აღირიცხება სააგენტოში არსებული ინვენტარი; მნიშვნელოვანია ასევე კადრების პროგრამული უზრუნველყოფა, რომელშიც აისახება თანამშრომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია.

სულ ცოტა ხნის წინ სააგენტოში კანცელარიის პროგრამაც ამოქმედდა, რომელშიც უკვე 44 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურია ჩართული. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა დოკუმენტთა ერთიანი ბაზა, დაიხვეწა საჭირო პროცედურები და ეფექტური გახდა, როგორც თავად კანცელარიის, ასევე მთლიანად სააგენტოს მმართველობითი საქმიანობა.

24 საათი

მკვლელობა ნაბაკევში

2 აპრილს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში აფხაზი სეპარატისტების მიერ დახვრეტილი 40 წლის ელგუჯა ბერაის მკვლელობის მოტივად შურისძიება სახელდება.

"პრესა.გე"-ს ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობა აფხაზების მხრიდან ელგუჯა ბერაიაზე შურისძიების ფაქტს 2008 წლის ზაფხულში სოფელ ნაბაკევის ცენტრში მომხდარ აფეთქებას უკავშირებს, რომლის დროსაც ოთხი აფხაზი მილიციელი "უაზის" ტიპის სამხედრო ავტომანქანაში ყუმბარმტყორცნიდან მომხდარი სროლის შედეგად აფეთქდა. ამ ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა აფხაზი მილიციელები მძიმედ დაიჭრნენ. მათ შორის ერთ-ერთი გალის მილიციის თანამშრომელი დევი ბუავა იყო. როგორც ირკვევა, დევი ბუავა აფეთქების ავტორად ელგუჯა ბერაიასა და ყოფილ პარტიზანს გია როსტობაიას მიიჩნევდა. სწორედ, ეს გახდა შურისძიების მიზეზიც.

ამ ამბის შემდეგ აფხაზეთის მილიციამ სოფელ ნაბაკევში ე.წ წმენდა ჩაატარა და სოფლის ოთხი მაცხოვრებელი - ავთო ეხვაია, რეზო ძიგუა, ზურაბ თორია და გოჩა ბერაია დააკავეს. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, შემდეგ გაირკვა, რომ გოჩა ბერაია, შეცდომით, თავისი ძმის ელგუჯა ბერაის მაგივრად დაუკავებიათ და აფხაზებმა იგი რამდენიმედღიანი ტყვეობისა და გამოსასყიდის გადახდის შემდეგ, სხვა დაკავებულებთან ერთად გაათავისუფლეს.

ძმის გათავისუფლების შემდეგ ბერაია თვეების განმავლობაში სხვადასხვა პირების საშუალებით ცდილობდა ბუავას დარწმუნებას იმაში, რომ აფეთქებასთან კავშირი არც მას და არც როსტობაიას არ ჰქონია. ელგუჯა ბერაია ამიტომაც არიდებდა თავს საკუთარ სახლში გამოჩენას. იგი მეუღლესა და შვილებთან ერთად ზუგდიდში ცხოვრობდა. 2 აპრილს კი ნაბაკევში მხოლოდ იმიტომ გადავიდა, რომ მარტოხელა დედას ოჯახურ საქმეებში დახმარებოდა. როგორც ჩანს, აფხაზურმა მილიციამ ბერაიას გადასვლის ამბავი შეიტყო. 2 აპრილს, საღამოს 9 საათზე ხუთი შეიარაღებული პირი მათ ოჯახს თავს დაესხა. როგორც თვითმხილველები იხსენებენ, დაახლოებით 10 წუთში ელგუჯა ბერაია იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით სახლიდან გაიყვანეს და ავტომატის ჯერით დაცხრილეს. ცხედარი პირველმა მოკლულის დედამ ნახა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ელგუჯა ბერაია დევი ბუავამ მოკლა. მკვლელობა მოხდა გალის რაიონში. იგი შერეული, აფხაზურ-რუსული შემადგენლობის კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ელგუჯა ბერაია წარსულში პარტიზანი იყო.

მედიანიუსი

შალვა რამიშვილი შეწყალებას არ ელოდება

ტელეკომპანია 202"-ის დამფუძნებელს შალვა რამიშვილს საპატიმრო ვადის ამოწურვამდე 5 თვე დარჩა. როგორც მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, პირობით ვადამდელ გათავისუფლებაზე აღარ ნერვიულობენ.

ორი წლის წინ კომისიამ განიხილა შალვა რამიშვილის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის წერილობით არ მიუმართავს. განიხილეს, შეიწყალეს, თუმცა პრეზიდენტი ხელს არ აწერს. ვიცი ელენე თევდორაძისგან, რომ რამიშვილი კომისიის სიაში ავტომატურად ყოველთვის არის, მაგრამ მას ამ სიიდან ყოველთვის იღებენ. შალვაც წინააღმდეგია შეწყალების. ამ საკითხზე მრავალჯერ მიმართა პრეზიდენტს, რომ არ გაბედოს მისი შეწყალება," - განაცხადა პატიმრის მეუღლემ თეა აბაშმაძემ. რაც შეეხება პირობით ვადამდელ გათავისუფლებას, მისივე თქმით, ეს უკვე ერთი წელია კანონით ეკუთვნის და არ აკმაყოფილებენ. პირობით გათავისუფლებაზე ძალიან ცინიკური პასუხები აქვთ. მის გამო, რომ იგი არ აღიარებს ბრალს, კომისია უარს ამბობს მის გათავისუფლებაზე. ხუთი თვე დარჩა, ამიტომ ოჯახი ვადამდელ გათავისუფლებაზე აღარ ნერვიულობს," - ამბობს თეა აბაშმაძე. მისივე თქმით, ოპოზიცია ხელისუფლებასთან დიალოგის დასაწყებად შალვა რამიშვილის გათავისუფლებას მოითხოვს.

შალვა რამიშვილი 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ბრალად ედება მაშინდელი პარლამენტის წევრის კობა ბექაურისთვის 30 ათაის აშშ დოლარის გამოძალვა.

მედიანიუსი

სააღდგომოდ პატიმრებს შეიწყალებენ

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გია არსენიშვილის განცხადებით, სააღდგომოდ პატიმართა შეწყალება იგეგმება. არსენიშვილის განმარტებით, შესაწყალებელთა სიაზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, რადგან კომისიის წევრებს შესაბამისი დოკუმენტაცია ჯერ არ მიუღიათ. "კომისიის წევრებს დოკუმენტები ჯერ არ მიგვიღია. აქედან გამომდინარე, ჯერ არც სხდომა ჩატარებულა და ამ ეტაპზე ვერც შესაწყალებელ პატიმართა რაოდენობაზე ვისაუბრებ," - განაცხადა გია არსენიშვილმა.

შეწყალების კომისიის სხდომის ჩატარებისა და შესაწყალებელი პატიმრების სიის შემუშავების შემდეგ, კომისია საქართველოს პრეზიდენტს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით შესაწყალებელ პატიმართა რეკომენდაციებს გაუგზავნის. შესაწყალებელ პატიმართა შესახებ რეკომენდაციები საქართველოს პრეზიდენტთან შეწყალების კომისიიდან, საპატრიარქოდან და პროკურატურიდან იგზავნება. საბოლოო გადაწყვეტილებას კი თავად პრეზიდენტი იღებს.

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი ციხის მშენებლობა დაიწყო

ქსანში დაწყებულ ახალი დაწესებულების მშენებლობის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრო. ახალი კომპლექსისთვის განკუთვნილი ტერიტორია ძველი, ამორტიზებული ნაგებობისგან გათავისუფლდება. დაახლოებით ერთ კვირაში კი უშუალოდ საამშენებლო სამუშაოები დაიწყება.

ახალი კომპლექსი სასჯელაღსრულების (დაბა ქსანი) N7 საერთო და მკაცრი რეჟიმის ამჟამად მოქმედი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე 29 ათასი კვ.მ გაშენდება. მშენებლობა დაახლოებით წელიწადნახევარი გაგრძელდება. ახალი კომპლექსი ამჟამად მოქმედ დაწესებულებას შეცვლის. ის 2 050 საცხოვრებელ ადგილზეა გათვლილი. კომპლექსში შედის სამი საცხოვრებელი და ერთი ადმინისტრაციის კორპუსი. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსდება რამდენიმე სასპორტო მოედანი.

ახალი დაწესებულება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აიგება. პროექტში გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტების უსაფრთხოებისა და კომუნიკაციების სისტემები. საცხოვრებელი ოთახების ტევადობა იქნება ორიდან რვა. ყველა ოთახს ექნება სველი წერტილი (ხელსაბანი), საპირფარეშო, ვენტილაცია და სათავსოები. დაწესებულების კომპლექსში გათვალისწინებულია რამდენიმე პალატიანი სამედიცინო ნაწილი (მსუბუქი ავადობისა და პირველადი დახმარებისთვის).

აღნიშნული მშენებლობა ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარით დაფინანსდება.

ჩვენ გავითვალისწინეთ შენიშვნა სახალხო დამცველის, პარლამენტის, არასამთავრობო სექტორის და პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ზუსტად ერთ წელიწადში ძველი ციხის ნაცვლად აქ იქნება აშენებული სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულება ყველა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გვაქვს იმედი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება არ იქნება დასჯული დამნაშავეებით შევსებული," - განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

ქსნის N7 კოლონია საბჭოთა პერიოდში - 1957 წელს არის აშენებული.

მედიანიუსი

66 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

გუშინ სამართალდამცველებმა ნუცუბიძის დასახლებაში 66 წლის გენო სორდია გარდაცვლილი იპოვეს.

სორდიას გარდაცვალების მიზეზი ამ დრომდე უცნობია, თუმცა, გარდაცვლილის ბინაში შესულ მეზობლებს ბუნებრივი აირი გაშვებული დახვდათ.

წინასწარი ინფორმაციით, იგი ფულის გამოძალვის მიზნით მოკლეს. როგორც ახლობლები ირწმუნებიან, გარდაცვლილს სახლში 11 ათასი ამერიკული დოლარი ჰქონდა, რომელიც თურქეთში, ძმისთვის უნდა გაეგზავნა. მეზობლების მტკიცებით, მკვლელობა ამ თანხას უკავშირდება. მათი განცხადებით, სორდიას ბინიდან ბუნებრივი აირის მკვეთრი სუნი იგრძეს და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს. ექიმებმა სახლში შესვლა ფანჯრიდან მოახერხეს, თუმცა, გენო სორდია უკვე გარდაცვლილი აღმოჩნდა.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ კრიმინალური და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. სამართალდამცველთა ვარაუდით, სორდიას თავში ჯერ ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, შემდეგ კი, დანაშაულის კვალის დასაფარად, შენობაში ბუნებრივი აირი გაუშვეს.

საქმეს ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველო იძიებს.

პირველი

სირიის მოქალაქე ობამაზე თავდასხმას გეგმავდა

თურქეთის სპეცსამსახურებმა სტამბოლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე დაგეგმილი თავდასხმა აღკვეთეს. ამის შესახებ ინფორმაციას საგენტო "რია ნოვოსტი" თურქეთის მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, ტერაქტი ობამას თურქეთში ვიზიტისას უნდა მომხდარიყო, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი ცივილიზაციის ალიანსის სამიტში მონაწილეობის მისაღებად სამშაბათს, 7 აპრილს ჩავა.

სპეცსამსახურებმა სირიის მოქალაქე დააკავეს, რომელმაც დანაშაული უკვე აღიარა და განაცხადა , რომ იგი სამიტზე შეღწევას ტელეკომპანია ალ-ჯაზირას" კორესპონდენტის სახელით გეგმავდა და ობამას სიტყვთ გამოსვლისას, მისთვის დანის სროლას აპირებდა.

ანკარასა და სტამბოლში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებია მიღებული. თურქეთში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტი გუში საღამოს დაიწყო. სტამბოლში თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დასაცავად 9 ათასამდე სამართალდამცველია მობილიზებული.

ჯი-ეიჩ-ენი

ავსტრიელი მანიაკის აღიარება

დავიბადე, რომ ვყოფილიყავი მოძალადე

დანაშაული, რომელმაც თავისი სისასტიკით მთელი მსოფლიო შეძრა და რომელიც საუკუნის დანაშაულად მოინათლა, სასამართლომ ოთხ დღეში განიხილა. ყველა ბრალდებაში დამნაშავეა, - ამ ვერდიქტის გამოტანისთვის რვაკაციან ნაფიც მსაჯულთა ჟიურის სულ რამდენიმე წუთი დაჭირდა. სამუდამო პატიმრობა - ასეთი განაჩენი გამოუტანა ავსტრიის სასამართლომ საუკუნის მანიაკად წოდებულ 73 წლის იოზეფ ფრიცლს, რომელსაც 24 წლის განმავლობაში საკუთარი ქალიშვილი, ელიზაბეტი საცხოვრებელი სახლის ბნელ და ნესტიან სარდაფში ჰყავდა დატყვევებული. ამ წლების განმავლობაში, ელიზაბეტმა მამისგან შვიდი შვილი გააჩინა, რომელთაგან ერთ-ერთი, დაბადებიდან რამდენიმე დღეში, ჰაერის უკმარისობით გარდაიცვალა.

თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მონების ყოლა, გაუპატიურებები, მკვლელობა, ძალადობა, ინცესტი - ასეთი იყო იოზეფ ფრიცლისთვის წარდგენილი ბრალდებები.

საქმის გამოძიება თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესი კი თვეების მანძილზე იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ იწყებოდა, რომ ნაფიცი მსაჯულების შეგროვება გახდა შეუძლებელი. მოქალაქეები, რომლებსაც ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებად ირჩევდნენ, საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღებასა და იოზეფ ფრიცლის საქმის მოსმენაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ნაფიც მსაჯულთა ჟიური შედგა და ავსტრიელი მანიკის საქმეზე მსაჯულებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს.

სასამართლო დარბაზში, სადაც იოზეფ ფრიცლს ასამართლებდნენ, წესრიგს უსაფრთოების დაცვის სამსახურის 40-მდე თანამშრომელი იცავდა. ოთხი დღის განმავლობაში შენობის შესასვლელ-გასასვლელებს პოლიციის გაძლიერებული ძალები აკონტროლებდნენ.

თავდაპირველად, სასამართლომ დააკმაყოფილა განსასჯელის ინტერესების დამცველის მოთხოვნა და სასამართლო სხდომა დაიხურა, თუმცა, მომდევნო პროცესები, ჟურნალისტების თანდასწრებით, ღია რეჟიმში ჩატარდა. თავად განსასჯელი თავდაპირველად სახეს მალავდა. მას რამდენიმე საათის განმავლობაში საქაღალდე ჰქონდა სახეზე აფარებული და სახელმწიფო ბრალმდებლის კითხებს ისე პასუხობდა. მოგვიანებით კი ფოტორეპორტიორებისთვის არანაირი პრობლემა აღარ შეუქმნია.

თავდაპირველად იოზეფ ფრიცლი, მისთვის წარგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ მხოლოდ ნაწილობრივ ცნობდა. მას შემდეგ კი, რაც ყველასთვის მოულოდნელად, სასამართლო პროცესზე მთავარი დაზარალებული, ელიზაბეტ ფრიცლი გამოცხადდა, განსასჯელმა ყველა ბრალდება აღიარა.

ელიზაბეტის გამოჩენას საქმის სასამართლო გამოძიებისას არავინ ელოდა, რადგან თავიდანვე ცნობილი იყო, რომ პროცესზე ის და მისი შვილები არც დაზარალებულის და არც მოწმის სტატუსით არ დაიკითხებოდნენ.

ელიზაბეტსა და მის ექვს შვილზე მზრუნველობა სახელმწიფოს აქვს აღებული. ისინი ძველი საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით გადაიყვანეს საცხოვრებლად და ვინაობა შეუცვალეს. დედა და შვილები ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და მათ სპეციალური დაცვაც გამოუყვეს.

ვწუხვარ ჩემი საქციელის გამო, თუმცა, უკვე არაფრის შეცვლა აღარ შემიძლია, წაყენებულ ყველა ბრალდებაში თავს დამნაშავედ ვცნობ, - განაცხადა ბოლო სიტყვაში მანიაკმა. ის შეეცადა ნაფიცი მსაჯულებისთვის თავი შეეცოდებინა და საკუთარი ბავშვობის მძიმე ისტორიებზე ისაუბრა.

სასამართლო პროცესზე მთავარ მტკიცებულებად გამოქვეყნდა განსასჯელის შვილის ელიზაბეტ ფრიცლის ჩვენებები, რომლებიც საქმის წინასწარი გამოძიებისას იყო ვიდეოფირზე ჩაწერილი. ნაფიცი მსაჯულები ჩანაწერებს 11 საათის განმავლობაში ისმენდნენ. ასევე მთავარ მტკიცებულებად, სასამართლოზე წარმოდგენილი იყო მანიაკის შვილის დღიურები, რომელსაც ის 24 წლის განმავლობაში, მოძალადისგან ფარულად წერდა. ელიზაბეტის დღიურებში დეტალურად არის აღწერილი მრავალწლიანი ტყვეობის თითქმის ყოველი დღე. ელიზაბეტი წერს, როგორ ახორციელებდა ძალადობას და აუპატიურებდა მას მამა საკუთარი შვილების თანდასწრებით, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, როგორ ემუქრებოდა და აშინებდა სარდაფში დაწვით.

ელიზაბეტი ჩანაწერებში დეტალურად აღწერს მეშვიდე შვილის, მიქაელის დაბადებას და გარდაცვალებას. მისი თქმით, ბავშვი ჰაერის უკმარისობით გარდაიცვალა იმის გამო, რომ იოზეფ ფრიცლმა მის გადასარჩენად და სამედიცინო დახმარების გასაწევად არაფერი იღონა.

მამაჩემმა გარდაცვლილ ბავშვს კრემაცია თავად ჩაუტარა. ის გაზის დიდ ღუმელში დაწვა, - წერს ელიზაბეტი. მისივე მონაყოლის მიხედვით, სარდაფი სავსე იყო ვირთხებით და მას საკუთარი ხელებით უწევდა მათთან ბრძოლა. ყველაზე გაუსაძლისი კი ბნელ და ნესტიან სარდაფში ყოფნა ზაფხულის თვეებში იყო.

მე და ჩემი შვილები დღეებს და საათებს ვითვლით ზამთრის მოსვლამდე. აქ ისეთი სიცხეა, სიკვდილი გვინდა, - ასეთია ერთ-ერთი ჩანაწერის შინაარსი. ტირანი - ასე ახასიათებს დღიურებში საკუთარ მამას ელიზაბეტი.

როგორც გაირკვა, იოზეფ ფრიცლი საკუთარ შვილს 11 წლის ასაკიდან აუპატიურებდა და როგორც კი არასრულწლოვანმა ელიზაბეტმა სახლიდან გაქცევა გადაწყვიტა, ის მამამ სარდაფში ჩაკეტა.

უკვე 42 წლის ელიზაბეტის ისტორია 2008 წლის აპრილში გახდა ცნობილი, როდესაც მისი უფროსი ქალიშვილი კერსტენი ავად გახდა. კომაში ჩავარდნილი 19 წლის გოგონა მზრუნველმა ბაბუამ საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმებმა მისი დიაგნოზის დადგენა ვერ შეძლეს და ავადმყოფის დედის ნახვა კატეგორიულად მოითხოვეს. იოზეფ ფრიცლი იძულებული გახდა, ელიზაბეტი სარდაფიდან ამოეყვანა და საავადმყოფოში მიეყვანა. სწორედ ამ ფაქტის გამო აეხადა ფარდა იოზეფ ფრიცლის მრავალწლიან საიდუმლოს - ელიზაბეტმა ექიმებთან ოჯახური ტრაგედია გათქვა.

ელიზაბეტის სამი შვილი, ლიზა, მონიკა და ალექსანდრე, რომლებიც ახლა 16, 14 და 12 წლისები არიან, მზრუნველმა ბაბუამ სარდაფიდან ძალზე პატარები ამოიყვანა და სახლში ზრდიდა.

ადრეულ ასაკში ოჯახიდან გაქცეულმა ჩემმა ქალიშვილმა ისინი უპატრონოდ დატოვა, მე მივაგენი მათ ადგილსამყოფელს და მათზე მეურვეობა ავიღე, - ასე აუხსნა იოზეფ ფრიცლმა მეზობლებსა და ახლობლებს ოჯახში ბავშვების გამოჩენა. მეუღლეს, როზა-მარია ფრიცლს კი უთხრა, რომ მათი გოგონა, რომელიც სახლიდან იყო გაქცეული, გაურკვეველ სექტაში გაწევრიანდა და მშობლების დანახვაც არ სურდა. დედას გოგონას მოსაძებნად არაფერი უღონია.

19 წლის კერსტენმა, 18 წლის შტეფანმა და 5 წლის ფელიქსმა გათავისუფლებამდე, მთელი ცხოვრება სარდაფში გაატარეს. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, ელიზაბეტ ფრიცლს და მის სამ შვილს ხანგრძლივი, რთული გამოკვლევები და მკურნალობა ჩაუტარდათ.

გარდა კონკრეტული დაავადებებისა, მათ პოსტტრავმული მდგომარეობა და სტრესი აქვთ, რასაც კიდევ ხანგრძლივი მკურნალობა და მეთვალყურეობა სჭირდება, - აცხადებენ ექიმები. ექიმების განმარტებითვე, დაზარალებულების მორალური მდგომარეობა ახლაც რთულია.

ელიზაბეტი ნამდვილი გმირია. ის დედობრივმა ინსტიქტებმა გადაარჩინა, - ასეთია ექიმების დასკვნა.

რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა მდიდარმა კომპანიამ ელიზაბეტს 7 მილიონი დოლარი შესთავაზა თოქ-შოუებსა და ფილმებში მოაწილეობის სანაცვლოდ, რაზეც ელიზაბეტმა კატეგორიული უარი განაცხადა.

არა, გმადლობთ, გთხოვთ, თავი დაგვანებოთ, - ასეთი იყო მანიაკის შვილის პასუხი.

დავიბადე, რომ ვყოფილიყავი მოძალადე, - ეს განცადება იოზეფ ფრიცლმა საქმის წინასწარი გამოძიებისას გააკეთა. მას სურდა საკუთარი ჩვენებების ოქმები საკმაოდ სოლიდურ თანხად გაეყიდა.

იოზეფ ფრიცლს ავსტრიული კანონმდებლობა უფლებას აძლევდა, თავად ამოერჩია ციხე,

სადაც სასჯელი უნდა მოიხადოს. სასამართლომ მას სამი ვარიანტი შესთავაზა. მსჯავრდებულმა გამოსასწორებელი დაწესებულება, გარსტენის ციხე ამოირჩია, რომელიც მოთავსებულია ქალთა მონასტრის ყოფილ შენობაში, მის მშობლიურ ქალაქ ამშტეტენიდან ნახევარი საათის სავალ გზაზე.

როგორც ავსტრიული პრესა წერს, აქ ფრიცლი საკმაოდ კომფორტულად იცხოვრებს, რადგან ამ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ტრენაჟორების დარბაზი, ჩოგბურთის კორტები, დიდი ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, გარსტენის ციხეში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, შეისწავლონ უცხო ენები, იმღერონ ადგილობრივ გუნდთან ერთად და ისწავლონ სხვადასხვა ხელობა.

ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები განთავსდება

პირველი გვერდიდან

აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი ნაბიჯები პროვოკაციულია და ჩრდილოეთ კორეის კიდევ უფრო მეტად იზოლირებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერთა სამიტზე, გეგმის თანახმად, ობამა გლობალურ დათბობასა და ენერგეტიკის პრობლემებზე ისაუბრებს.

როგორც პრეზიდენტის სამიტზე გამოსვლის წინ თეთრ სახლში აცხადებენ, ობამას ადმინისტრაცია ბირთვული იარაღის გამოცდის საერთო აკრძალვის შესახებ შეთანხმების პროექტზე იმუშავებს.

"იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ცივი ომი დასრულდა, ბირთვული იარაღის გავრცელებამ ან მის დასამზადებლად მასალების მოპარვამ შესაძლოა, პლანეტის ნებისმიერი ქალაქის განადგურებამდე მიგვიყვანოს," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

AFP ' 2009

ფხენიანის რაკეტები

იაპონია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოწვევას ითხოვს

მარიკა იაშვილი

ცნობა, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა ბალისტიკური რაკეტები ორბიტაზე გაუშვა, პირველად სამხრეთ კორეის საინფორმაციო საშუალებებში, ხოლო შემდეგ იაპონიის მასმედიაში გავრცელდა.

თუმცა ამერიკელები აცხადებენ, რომ რაკეტის პირველი ფრაგმენტი იაპონიის ზღვაში ჩავარდა, ხოლო მეორე ნაწილი, ხელოვნურ თანამგზავრთან ერთად, წყნარ ოკეანეში ჩაეშვა, ისე რომ არც იაპონიისთვის და არც სხვა მეზობელი ქვეყნისთვის საფრთხე არ შეუქმნია.

ამერიკელთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია უკვე დაადასტურეს სამხრეთ კორეელმა სამხედროებმაც. **"ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, რაკეტის სამივე ნაწილი ოკეანეში ჩავარდა, ამიტომ არანაირი მფრინავი ობიექტი ორბიტაზე არ გასულა,"** - განაცხადა სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა ლი სან ხიმ.

ჩრდილოეთ კორეა უკვე დიდი ხანია აცხადებდა, რომ თანამგზავრის გაშვებას გეგმავს და ოპონენტებს აფრთხილებდა, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ამ პროცესის ჩაშლას შეეცდებოდა შესაფერის პასუხს მიიღებდა.

კვირას გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თანამგზავრის გაშვება წარმატებით დასრულდა და ის ორბიტაზე გაშვებიდან 9 წუთსა და 2 წამში გავიდა.

რუსი სამხედროების მონაცემებით, საზენიტო სარაკეტო სისტემა - 300-ის მორიგე ძალებმა მზადყოფნის სიგნალი მიიღეს და სამიზნის თანხლების ოპერაცია ზონიდან მის სრულ გაუჩინარებამდე განახორციელეს. ეს ნიშნავს, რომ საჰაერო სამიზნე რუსეთის ფედერაციას საფრთხეს აღარ უქმნის.

ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვებას ოპერატიულად გამოეხმაურა აშშ. ამ საკითხის თაობაზე ამერიკის ხელისუფლება დაუყოვნებლივ იწყებს კონსულტაციებს თავის მოკავშირეებთან. ამაზე საუბარია ბარაკ ობამას განცხადებაში, რომელიც თეთრმა სახლმა პრაღაში გაავრცელა. ამერიკის ლიდერი ჩეხეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

"ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებთ კონსულტაციებს რეგიონში ჩვენს მოკავშირეებთან, მათ შორის იაპონიასა და კორეის რესპუბლიკასთან, აგრეთვე გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებთან," - ნათქვამია ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის განცხადებაში.

მოვუწოდებთ ჩრდილოეთ კორეას, სრულად შეასრულოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია და თავი შეიკავოს შემდგომი პროვოკაციული ქმედებებისგან," - აღნიშნულია დოკუმენტში. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ფხენიანმა უშიშროების საბჭოს 1718-ე რეზოლუცია დაარღვია, რომელიც ჩრდილოეთ კორეას ბალისტიკური რაკეტების შექმნისაკენ მიმართული ყოველგვარი ქმედებების განხორციელებას უკრძალავს.

ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტების გაშვება პროვოკაციული ნაბიჯია, რომელიც უპასუხოდ არ დარჩება, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფრედ ლეშმა, რომელმაც რაკეტის ტიპზე საუბრისგან თავი შეიკავა.

"ჩრდილოეთ კორეელების მიერ რაკეტების გაშვება ვაშინგტონში მიიჩნევა პროვოკაციულ აქტად, რომელიც აიძულებს შეერთებულ შტატებს, გადადგას გარკვეული ნაბიჯები ფხენიანისთვის იმის მისახვედრებლად, რომ მას არ შეუძლია დაუსჯელად შეუქმნას საფრთხე სხვა ქვეყნებს," - ხაზგასმით განაცხადა ლეშმა.

იაპონიამ მოთხოვნით მიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს, რათა მან ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესოს. ტოკიოში მიაჩნიათ, რომ ბოლოდროინდელი მოვლენები გაერო-ს მიერ 2006 წელს - ფხენიანის მხრიდან ბალისტიკური რაკეტების წარუმატებელი გამოცდის შემდეგ მიღებული რეზოლუციის დარღვევაა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტარო ასო ჟურნალისტების წინაშე მანამდე წარდგა, სანამ ჩრდილოეთ კორეული რაკეტა იაპონიის თავზე აღმოჩნდებოდა. **"მე უსაფრთხოების ზომების დაუყოვნებლივ გაძლიერების ბრძანება გავეცი. გავაფართოვეთ ინფორმაციის შეგროვების ქსელი. რაკეტის შესახებ მონაცემებს განუწყვეტლივ ვღებთ. ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც ახლა შემიძლია,"** - განაცხადა მან.

ამ დროისთვის შეიძლება ითქვას, რომ გაშვებამ პრობლემების გარეშე ჩაიარა. იაპონიის ტერიტორიაზე რაკეტის ფრაგმენტების ჩამოვარდნის საფრთხე არ დაფიქსირებულა, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ დიდი ხნის წინათ დაიწყო ინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ, რომ რაკეტა "ინჰა 2"-ის გაშვება, რომელიც ექსპერიმენტული ხელოვნური თანამგზავრის "კვანმენსონ 2"-ის ორბიტაზე გაყვანას ემსახურებოდა, 4 - 8 აპრილამდე მოხდებოდა.

ოფიციალური ფხენიანის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რაკეტის პირველი ნაწილი იაპონიის ზღვაში, აკიტას პრეფექტურიდან 130 კილომეტრის დაშორებით უნდა ჩამოვარდნილიყო. მეორე ნაწილს კი იაპონიის ტერიტორია უნდა გადაეფრინა და წყნარ ოკეანეში ჩავარდნილიყო. იმ შემთხვევაში, თუ რაკეტა კურსს აცდებოდა ან მისი იაპონიის ტერიტორიაზე ჩამოვარდნის საფრთხე გაჩნდებოდა, თავდაცვის უწყების ძალებს მათი განადგურების ბრძანება ჰქონდათ მიღებული. ამისთვის იაპონიის ზღვაში მობილიზებული იყო სამხედრო ტექნიკა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებით. ხოლო აკიტას, ივატეს და დედაქალაქის პრეფექტურებში საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს პატრიოტის ტიპის მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები (PAC-3).

რაკეტების გაშვების შესახებ ფხენიანის გადაწყვეტილებამ რეგიონში დაძაბულობა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებაში ცხარე დებატები გამოიწვია. მთელი რიგი ქვეყნების და მათ შორის იაპონიის აზრითაც, ამ გზით ფხენიანი ცდილობს, გამოცადოს კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც ბირთვული ტვირთის გადაზიდვა შეუძლია.

ვინ მოიგებს არჩევნებს მოლდოვაში

ივა ფილაკაძე

გუშინ რესპუბლიკა მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. დეპუტატის 101 ადგილზე 12 პარტიის ათასზე მეტი წარმომადგენელი და 5 დამოუკიდებელი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. რეგისტრირებულია, დაახლოებით, 2,6 მილიონი ამომრჩეველი, გახსნილია ორი ათასამდე საარჩევნო უბანი, აქედან 33 - საზღვარგარეთ. ათი დამატებითი უბანი გახსნილია მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ცხოვრობენ. თვითონ დნესტრისპირეთში სეპარატისტებმა ცენტრს საარჩევნო უბნების გახსნის საშუალება არ მისცეს. ვარაუდობენ, რომ დნესტრისპირეთის 340 ათასი მცხოვრებიდან, დაახლოებით, 20-30 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

დეპუტატობის კანდიდატთა ნაწილს, ორას კაცზე მეტს, ორმაგი მოქალაქეობა აქვს - ძირითადად, ცხადია, რუმინეთის, მაგრამ არის რამდენიმე ადამიანი რუსეთის და ბულგარეთის მოქალაქეობით. დეპუტატად არჩევის შემთხვევაში მათ მეორე პასპორტზე უარი უნდა თქვან. სოციოლოგიური გამოკვლევებით, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 60-70 პროცენტის მოსვლაა მოსალოდნელი, მაგრამ არჩევნების შედეგების პროგნოზირებას ვერავინ ბედავს. მიიჩნევენ, რომ უმრავლესობას ვერც ერთი პარტია ვერ მოიპოვებს და საჭირო გახდება კოალიციის შექმნა.

თორმეტი პარტიიდან, ექსპერტების აზრით, პარლამენტში მოხვედრის რეალური შანსები აქვთ კომუნისტურ (დღემდე მმართველი პარტია), ლიბერალურ-დემოკრატიულ და ლიბერალურ პარტიებს, აგრეთვე ალიანსს "ჩვენი მოლდოვა". ყველა პარტია ხალხს ჰპირდება კრიზისის დაძლევას და ეკონომიკურ აღმავლობას, აგრეთვე ევროკავშირში შესვლას. აქედან ლიბერალურ და ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიებს (აგრეთვე ქრისტიანულ-დემოკრატიულ სახალხო პარტიას) აშკარად პროდასავლური პოზიციები უკავიათ და რუმინეთის დახმარებით დასავლეთისკენ და ნატო-სკენ წასვლას აპირებენ; კომუნისტები და "ჩვენი მოლდოვა" კი, ზოგიერთ სხვა პარტიასთან ერთად, დსთ-ში დარჩენას და რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე უარის თქმას არ გეგმავენ.

მოლდოვა საპარლამენტო რესპუბლიკაა, 61 მანდატი საკმარისია პრეზიდენტის ასარჩევად, ცხადია, მთავრობის დასაკომპლექტებლადაც. ვლადიმირ ვორონინი უკვე ორი ვადით იყო არჩეული და პრეზიდენტობის შანსი კანონმდებლობით აღარ აქვს, მაგრამ ის პოლიტიკაში რჩება - სიტუაციის მიხედვით ან პარლამენტში, ან მთავრობაში. მომავალი პრეზიდენტის ვინაობას კი ჯერჯერობით ვერავინ ასახელებს.

პარტიებისთვის საარჩევნო ბარიერი ექვსი პროცენტია, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის - სამი. წელს პირველად აკრძალულია საარჩევნო ბლოკების შექმნა და პარტიები არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობენ.

ხმის მიცემა გუშინ საღამოს ცხრა საათზე დამთავრდა. წინასწარი შედეგები დღეს გახდება ცნობილი.

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

"მეგობარი" სნაბარი

გახსენი!

თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55
www.republic.ge

CMYK - 9

ოპერის ორკესტრის კამერული შემადგენლობა საგასტროლოდ მიემგზავრება

8 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის კამერული შემადგენლობა კონცერტს გამართავს სტამბულის უნივერსიტეტში, სადაც მიმდინარეობს კლასიკური მუსიკის ტრადიციული საგაზაფხულო სერიები. ორკესტრს წარუძღვება ცნობილი აზერბაიჯანელი დირიჟორი ფახრადინ კერიმოვი. პროგრამაშია ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კონცერტი N5 ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის კამერული სიმფონია და ბელა ბარტოკის დივერტისმენტი კამერული ორკესტრისთვის. სოლისტის ამპლუაში წარსდგება ცნობილი თურქი მევიოლინე პელინ ჰალკაჯი აკინი. საგულისხმოა, რომ ეს მუსიკოსები ქართველმა მსმენელებმა რამდენიმე თვის წინათ, 5 ივლისს თბილისში ოპერის თეატრის ორკესტრთან ერთად წარმატებით გამართული კონცერტის მეოხებით გაიცნეს.

დედაქალაქში 800 ხე დაირგო

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები საბურთალოს რაიონს ეწვივნენ. დღის განმავლობაში 800 ხე დაირგო. იფნის, ნუშის, საპნისა და შავი ფიჭვის ჯიშის ხეების დარგვა უფასოდ ნებისმიერ მსურველს შეეძლო. აქცია "დარგე ხე"-ს ფარგლებში ორი კვირის განმავლობაში 100 000-მდე ხის დარგვაა დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს გამწვანების აქციის ფარგლებში 50 000-მდე ხე უკვე დაირგო.

"პირველი"

მუკუზანში VI-VII საუკუნეებით დათარიღებული ქვის სამარხი აღმოაჩინეს

გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში, კერძო მიწის ნაკვეთის მოხვნისას VI-VII საუკუნეებით დათარიღებული ქვის სამარხი აღმოაჩინეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იუწყებიან, არქეოლოგიური დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ სამარხში ქრისტიანული წესით ქალი და მცირეწლოვანი ბავშვია დაკრძალული. ქვიშა-ქვით ნაგებ სამარხში ჩონჩხებთან ერთად, სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს საკინძეებიც აღმოჩნდა.

"სამარხი სოფლის თავში, ამაღლების ეკლესიიდან დაახლოებით 200 მეტრშია ნაპოვნი. აღნიშნულ ადგილზე შესაძლოა, სხვა სამარხებიც არსებობდეს", - განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა.

პირველი

"ჯეო მოდელსი" და თუმანიშვილის თეატრის მსახიობები ჩვენებას მოაწყობენ

7 აპრილს, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში სამოდელო სააგენტო "ჯეო მოდელსის" და აღნიშნული თეატრის მსახიობების მონაწილეობით ჩვენება მოეწყობა. როგორც "ჯეო მოდელსიდან" იუწყებიან, ნაჩვენები იქნება გაზაფხული-ზაფხულის "ჯეო კოლექცია", რომელსაც 10 მოდელი წარმოადგენს. კოლექცია დიზაინერ ეკა ბალანჩივაძეს ეკუთვნის.

მედიანიუსი

4 აპრილს თბილისს ცნობილი ამერიკელი გიტარისტი და მომღერალი ომარ ტორესი ეწვევა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოწვევით, 4 აპრილს თბილისში ცნობილი ამერიკელი გიტარისტი და მომღერალი ომარ ტორესი ჩამოდის. მომღერალი საქველმოქმედო კონცერტებს ჩაატარებს. კონცერტები 5 აპრილს - გორში, 6-ში - თელავში, 7-8 აპრილს კი თბილისში გაიმართება. 9 აპრილს ომარ ტორესი დაბადების დღეს ბაკურიანთან ახლოს, მთის სოფელ პატარა მიტარბში აღნიშნავს.

პირველი

ქართული სკოლის მასწავლებლებს ზუგდიდში ტრენინგი ჩაუტარეს

ეროვნული საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებმა გალის რაიონის ქართული სკოლის მასწავლებლებს ზუგდიდში ტრენინგი ჩაუტარეს.

"მიუხედავად იმისა, რომ საზღვარზე გადმოსვლა რთულია, გალის რაიონიდან საკმაოდ ბევრი მასწავლებელი გადმოვიდა. ეროვნული საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებმა მასწავლებლებს საგამოცდო საგნებზე მითითებები მისცეს", - განუცხადეს "პირველს" გალის საგამოცდო რესურსცენტრში.შეგახსენებთ, რომ წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში გალის რაიონიდან 250 აბიტურიენტი მიიღებს მონაწილეობას.

"პირველი"

კონტრაპუნქტი N2

თამარ კიკნაველიძე

ნოდარ მამისაშვილი



არვო პიარტი

მსოფლიოში თანამედროვე მუსიკის ფესტივალები ინტენსიურად ეწყობა. მსმენელი კომპოზიტორთა გამოწვევას ინტერესით იღებს. ექსპერიმენტები იქ ხშირად ხორციელდება, რაც ამ დარგის განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოში ამ თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე პროფესიული მუსიკის ფესტივალის, სახელწოდებით კონტრაპუნქტი , ორგანიზება. მისი განხორციელების იდეა ნიკა მემანიშვილს ეკუთვნის, დამფუძნებელია - საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი.

კონტრაპუნქტი პირველად 2007 წლის ივნისში ჩატარდა. მას საინტერესო ფორმატი აქვს. ფესტივალის პროგრამა ორი - ქართველი და უცხოელი კომპოზიტორის შემოქმედებას წარმოაჩენს. კონტრაპინქტი N1 სულხან ნასიძესა და ალფრედ შნიტკეს მიეძღვნა, კონტრაპინქტი N2 კი - ნოდარ მამისაშვილსა და არვო პიარტის.

წლევანდელი კონტრაპუნქტი 3 და 4 აპრილს გაიმართა. თანამედროვე პროფესიული მუსიკის საღამოებს საქართველოს ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა უმასპინძლა. მან ყოფილ რკინიგზელთა სახლში დაიდო ბინა. მისი ინტერიერი იერს თანდათან იცვლის. თუმცა, ახალი ძველს ისე ენაცვლება, რომ შემოქმედებითი პროცესი არ წყდება. ცენტრი, სამომავლოდ, თანამედროვე ტექნიკით იქნება აღჭურვილი და მსმენელს განახლებულ საკონცერტო დარბაზში უმასპინძლებს. ამჯერად კი, მაყურებელი აღმოჩნდა სივრცეში, რომელიც ფორმირების პროცესშია. ლითონის კონსტრუქციები ამშვენებს კედლებს, ჭერსა და სცენას, ავანსცენა გაზრდილია, მაყურებელთა სავარძლები კი ამფითეატრის პრინციპით შემაღლებულ ფიცარნაგზეა განლაგებული... ასეთმა გარემომ სხვებს, იქნებ, დისკომფორტი შეუქმნა, ჩემთვის კი - პირიქით, ადეკვატური და განწყობის შემქმნელი აღმოჩნდა.

კონტრაპუნქტი N2 საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა, ნიკა მემანიშვილმა გახსნა. მასში მონაწილეობდნენ: საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი - საიმონ კამარტინი), საქართველოს ეროვნული საგუნდო კაპელა (დირიჟორი - არჩილ უშვერიძე). ნიკა მემანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა შვეიცარიელი დირიჟორის, საიმონ კამარტინის დამსახურება, რომელიც მათთან უანგაროდ თანამშრომლობს.

საიმონ კამარტინი დირიჟორიც არის და მევიოლინეც. ის 1945 წელს დაიბადა. ცნობილია, როგორც შვეიცარიული და აღმოსავლეთევროპული მუსიკის შემსრულებელი. აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრთან, მათ შორის: რუსეთის კულტურის სამინისტროს სიმფონიურ ორკესტრთან, კიევის კამერეტასთან, რუმინეთის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან, ლემბერგის ლეოპოლის ორკესტრთან და ა.შ. მას, როგორც დირიჟორს, შესრულებული აქვს 50-ზე მეტი პრემიერა. მონაწილეობდა ევროპის არაერთ მუსიკალურ ფესტივალში, იყო საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ჟიურის წევრი, არის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ფალერა/ლაალს/ფლიმის მუსიკალური ფესტივალებისა - MENHIR. მას მიღებული აქვს საფრანგეთის აკადემიის ჯილდო ,Scienses-Art-Letter. არჩეულია უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის საპატიო წევრად და მოლდოვის მუსიკისა და ხელოვნების აკადემიის საპატიო დოქტორად.

ფესტივალის პროგრამას რაც შეეხება, ორივე დღეს შესრულდა ნოდარ მამისაშვილის სევდის პოეზია (სიმფონიური ორკესტრისათვის, 2008 წ.), ოთხი ფრაგმენტი საგუნდო ციკლიდან განცდანი , აკაპელა შერეული გუნდისთვის, კანონიკური ლოცვების ტექსტებზე (1981 წ), ტრიპტიქი (ვიოლინოსა და გუნდისათვის, 1978 წ.), ხოლო არვო პიარტის TABULA RASA (სუფთა დაფა , სიმფონიური ორკესტრისათვის, 1977 წ.), CREDO (მრწამსი , ფორტეპიანოს, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის), ორი აკაპელა გუნდი ლუკას სახარების მიხედვით, SPIEGEL IM SPIEGEL (სარკე სარკეში , ალტისა და ფორტეპიანოსათვის, 1978 წ.). ასევე შედგა არვო პიარტის შესახებ გადღებული დოკუმენტური ფილმის - 24 პრელუდია ფიგისათვის ჩვენება. ფესტივალის ბოლოს მოეწყო კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილთან შეხვედრა და მისი ლექსების კრებულის მხოლოდ სიყვარული პრეზენტაცია.

ეს ადამიანი მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევა. გარდა იმისა, რომ არაერთი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია, ამასთან არის თეორეტიკოსი, წარმატებული პედაგოგი და მეცნიერ-გამომგონებელი. მან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი დაამთავრა (პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასი). მას შექმნილი აქვს ცამეტამდე აკუსტიკურ-საინჟინრო აპარატი. არის საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი, საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ჰოლოსტუდიის პრეზიდენტი, აკადემია ნოოსფეროს პროფესორი და ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის კოორდინატორი...

ძიებებითა და ნოვაციებით არის აღსავსე მამისაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1970 წლიდან მოყოლებული, თანამედროვე ავანგარდისტული მუსიკის მიერ შემოთავაზებული იდეებისა და ნოვაციების საფუძვლიანად ათვისების შემდეგ, კომპოზიტორი თითოეულ ნაწარმოებში ინდივიდუალური სახით ანვითარებს და გარდასახავს ცალკეულ მათგანს, შემოაქვს ახალი იდეებიც. ყოველი ახალი თხზულება მისთვის წარმოადგენს ახალ პრობლემას: თითოეულში გამოყენებულია ახალი ტექნიკური არსენალი /ტემბრალური, აკუსტიკური, ასტრალური და სხვა ელემენტები/, ახალი ტიპის ფორმები ალეატორიკისა თუ კოლაჟის სფეროში... ამგვარად ყალიბდება სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა, რომელიც უდევს საფუძვლად მის შემოქმედებას , - ნათქვამია საფესტივალო ბუკლეტში.

ნოდარ მამისაშვილს დაწერილი აქვს საბავშვო ოპერა ბაქია ბაჭია , შვიდი სიმფონია, ხუთი საფორტეპიანო კონცერტი, არაერთი ახალი ტიპის საგუნდო თხზულება - ორატორიები, პასიონები, სიმფონიები, ციკლები, მინიატურები; სხვადასხვა ჟანრის საორკესტრო, სოლო და საანსამბლო ინსტრუმენტული თხზულებები, სათეატრო და კინომუსიკა. გამოცემული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა და საჟურნალო სტატია.

მისი ნაწარმოებები მსმენელმა კარგად მიიღო. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს, საგუნდო კაპელას და დირიჟორ არჩილ უშვერიძეს, რომელიც 2009 წლის ივლისში ნიდერლანდების კამერულ გუნდს უდირიჟორებს. მათ ქართველი და შვეიცარიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები წარმატებით დაძლიეს. გამორჩეული იყო ლევან ძამუკაშვილის, ოანა კამარტინის, სალომე ბუკიას (ვიოლინო), ასევე გიორგი ცაგარელის (ალტი), მაია ჩიქოვანის, ნინო ჟვანიას, თამარ ბახტაძის (ფორტეპიანო) შესრულება.

არვო პიარტის რაც შეეხება, გერმანიაში მცხოვრები ესტონელი წარმოშობის კომპოზიტორი 1935 წელს დაიბადა. დაამთავრა ტალინის კონსერვატორია კომპოზიციის განხრით. მოგვიანებით, ის იყენებს კოლაჟის ტექნიკას, მის მუსიკაში ჩნდება რელიგიური მოტივები, რაც საბჭოთა ცენზურის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მისი მუსიკა იკრძალებოდა, რის გამოც ის ემიგრაციაში წავიდა, ჯერ ვენაში, ხოლო 1980 წლიდან ბერლინში. დღეს არვო პიარტი მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებული პროფესიონალი კომპოზიტორია. მის შემოქმედებას ე.წ. საკრალურ მინიმალიზმს მიაკუთვნებენ. ის ათეულობით ნაწარმოების ავტორია. აღსანიშნავია, რომ მისი საორკესტრო პიესის Tabula rasa ფრაგმენტები მუსიკალურ ფონად გასდევს თენგიზ აბულაძის ფილმს "მონანიება" . ამ კომპოზიტორს მინიჭებული აქვს "ტრიუმფი" , ამერიკული "გრემი" - კატეგორიაში საუკეთესო თანამედროვე ნაწარმოების ავტორი , "დანიური სონინგენის პრემია" - როგორც ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურ კომპოზიტორს . არჩეულია ტალინის მუსიკალური აკადემიის და ტარტუს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, შვედეთის სამეფო მუსიკალური აკადემიის საპატიო წევრად.

მომდევნო კონტრაპუნქტი 2009 წლის ოქტომბერში იგეგმება. მისი პროგრამა ნათელა სვანიძისა და სოფია გუბაიდულინას (რუსეთი) შემოქმედებას დაეთმობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ორგანიზატორები ამ ფესტივალის შესახებ ინფორმაციას უკეთ გაავრცელებენ, რათა მან მეტი ადამიანი დააინტერესოს.

ქართული გვარები "ნიკაზე"

რუსეთის კინოაკადემიამ საუკეთესოები დააჯილდოვა

ია ვეკუა

რუსეთის კინოაკადემიაში არსებულმა დაპირისპირებამ დიდი ხანია კულმინაციას მიაღწია, მაგრამ დათმობას არც ნიკიტა მიხალკოვის კანტორა აპირებს და არც მარლენ ხუციევის "ბრიგადა". თუმცა ჩვენს ეს საკითხი ისევე გვეხება და გვაინტერესებს, როგორც ბანგლადეშის ირიგაციის საკითხები, ამიტომ ამ დიდი ისტორიის მხოლოდ ერთ, ჩვენთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ ნაწილზე გიამბობთ. 3 აპრილს კინოაკადემიის ახლად არჩეული პრეზიდენტის, ნიკიტა მიხალკოვის პრეტენზიების მიუხედავად, მაინც ჩატარდა რუსეთის ყველაზე პრესტიჟული - "ნიკას" დაჯილდოვების ცერემონიალი. მის ნომინაციებში კი ოთხი ქართული გვარი იკითხებოდა.

ყოველგვარი დრამატიზების გარეშე, თავიდანვე გეტყვით, რომ "ნიკა" არც ერთ მათგანს არ მოუპოვებია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ნომინაციების შედგენისთანავე უკვე მიიჩნეოდა ფავორიტებად. მერაბ ნინიძე, მიხეილ კალატოზიშვილი, ბაკურ ბაკურაძე და კონსტანტინე მელაძე ამჯერად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ყველაზე გულდასაწყვეტი კი ნინიძის პრიზის გარეშე დატოვებაა, რადგან "ქაღალდის ჯარისკაცში" შესრულებული მისი როლი ათი თავით აღემატება "ნიკას" გამარჯვებული ოლეგ დოლინის საყველპურო თამაშს.

"ქაღალდის ჯარისკაცი" ალექსეი გერმან უმცროსის ბოლო ფილმია ("ნიკაზე" ფილმიც იყო ნომინირებული და რეჟისორიც - ჯილდო ამ უკანასკნელს ერგო). 2008 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ამ ფილმის სპეციალური ჩვენება გაიმართა და ფესტივალის საუკეთესო სანახაობაც აღმოჩნდა. ფილმი მაყურებელს თავად მერაბ ნინიძემ წარუდგინა და მათ ალბათ დღემდე ახსოვთ მსახიობის მეტად ამაღელვებელი შესავალი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამ უმძიმესი სურათიდან გამოყოლილი ემოციების ბრალი შეიძლებოდა ყოფილიყო. გერმანის ფილმის სიუჟეტი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში ვითარდება - 1961 წელია და კოსმონავტებს პირველი სარაკეტო ფრენისთვის ამზადებენ. ეს მისია კი ნინიძის გმირს აკისრია, რომლის ცხოვრება სულ უფრო ემსგავსება ბაიკანურის კოსმოდრომის გარშემო არსებულ სიბინძურეს, თუმცა ვალდებულია ბოლომდე შეასრულოს საბჭოთა მოქალაქის მისია და სამშობლოს სამუდამო დიდებისთვის გმირი შეუქმნას.

მერაბ ნინიძის არაჩვეულებრივ პერსონაჟს და სამსახიობო თამაშს კი კიდევ ერთი ქართველის, ალექსეი გერმან უმცროსთან საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში დამარცხებული მიხეილ კალატოზიშვილის "ველური მდელოს" მსახიობი ოლეგ დოლინი დაუპირისპირდა და ორთაბრძოლის გამარჯვებულიც გახდა. თბილისის კინოფესტივალზე კალატოზიშვილის ფილმიც აჩვენეს, ამრიგად თავისუფლად შეგვიძლია ამ ორი მსახიობის ოსტატობის შედარება და შეფასებაც. ნინიძისგან განსხვავებით დოლინი შესამჩნევად უემოციო და ხრიოკია, როგორც ფილმში გამოყენებული პანორამები. აღარაფერს ვიტყვი, რომ სრულიად შეუფერებელი ტიპაჟია, რაც მის გმირს დამაჯერებლობასაც აკლებს, რაც მაყურებელს ფილმისგან სულ უფრო აცილებს.

ერთბაშად ორი ქართული გვარი იკითხებოდა წლის აღმოჩენის ნომინაციაში: "ნიკაზე" წარდგენილი იყვნენ კონსტანტინე მელაძე - როგორც მუსიკალური პროდიუსერი და ბაკურ ბაკურაძე, როგორც ფილმ "შულტესის" ავტორი. თბილიელმა მაყურებელმა საფესტივალო ჩვენებაზე ბაკურაძის ფილმიც იხილა და ეს ალბათ ერთადერთი სეანსი იყო, როდესაც მაყურებელი დარბაზიდან იპარებოდა და ხსნას სუფთა ჰაერზე ეძებდა. სხვათა შორის, ფილმი შარშანდელ კანის ფესტივალის სპეციალურ ჩვენებაშიც იყო წარდგენილი, სეანსის დასრულების შემდეგ კი ერთ-ერთმა გავლენიანმა კრიტიკოსმა მის შესაფასებლად მხოლოდ ერთი ფრაზა გამოიმეტა: "ფილმი, რომელიც არ უნდა ნახოთ". მართლაც ასეა - ფილმი ერთმნიშვნელოვნად აუტსაიდერი იყო.

კონსტანტინე მელაძე "ნიკაზე" ვალერი ტოდოროვსკის "სტილიაგებისთვის" იყო ნომინირებული - ამ ფილმმა კი კინოდაჯილდოვების მთავარი პრიზი მოიპოვა. ფილმის სიუჟეტი 1955 წლის მოსკოვში ვითარდება, ისტორიის ცენტრში კი რამდენიმე საბჭოთა ახალგაზრდაა, რომლებიც კაპიტალისტურ ჯაზზე გიჟდებიან, მანქანებით დაგრიალებენ და ცხოვრების სტილი მთელ ქალაქში გამოირჩევიან. ერთ-ერთი გოგონა ფრიადოსან კომკავშირელს უყვარდება და თავადაც ცდილობს "სტილიაგა" გახდეს. ფილმი მიუზიკლის ჟანრისაა (სწორედ აქ დაიხარჯა კონსტანტინე მელაძის ნიჭი) და იმ პერიოდის ცნობილი სიმღერების გარდა სპეციალურად დაწერილ კომპოზიციებსაც ერთიანებს. თუმცა როგორც ირკვევა, ფილმი ამ მხრივ დიდად ვერ დაიკვეხნის, რადგან დანარჩენი ორი "ნიკა" მხატვრობისა და კოსტუმებისთვის მიიღო, მუსიკალური ნაწილი კი სრულიად შეუმჩნეველი დარჩა.

დეტექტივების დედოფლის საიდუმლო

აგატა კრისტი შესაძლოა ალცჰეიმერით იყო დაავადებული

ცნობილია, რომ დეტექტიური ჟანრის ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, დეტექტივის დედოფლად წოდებული აგატა კრისტი მეტად უცნაური ქალბატონი გახლდათ. იგი საკუთარ თავში ბევრ საიდუმლოს ინახავდა და მისი პიროვნება დღემდე ბოლომდე ამოუხსნელი რჩება. თუნდაც ის რად ღირს, რომ მწერალი მთელი 11 დღის განმავლობაში იყო გაუჩინარებული და როდესაც კვლავ გამოჩნდა, არაფერი ახსოვდა. ბიოგრაფები და ლიტერატურის მკვლევარები კი თითქმის ყოველწლიურად ამზეურებენ ერთ საიდუმლოს მაინც, ამჯერად ცნობილი გახდა, რომ აგატა კრისტი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ალცჰეიმერის დაავადებით იტანჯებოდა, რაც მის ბოლო ნაწარმოებებში შეინიშნება.

სწორედ ასეთი დასკვნა გააკეთეს ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც მწერლის ბოლო ტექსტები გააანალიზეს, რისთვისაც სტატისტიკური კვლევის მეთოდები გამოიყენეს. მათ შეისწავლეს კრისტი მიერ 28 წლის ასაკიდან 82 წლამდე დაწერილი ნაწარმოებები და აღნოაჩინეს, რომ იგი სიცოცხლის ბოლო წლებში გაცილებით ცოტა, დაახლოებით 15-30 პროცენტით ნაკლებ სიტყვას იყენებდა. გარდა ამისა, ბოლო მოთხრობებში ხშირად მეორდება ერთი და იმავე წყობის მქონე წინადადებები და მრავლადაა შორისდებულებიც. ეს განსაკუთრებით შეინიშნება დაუსრულებელ რომანში "სპილოებს შეუძლიათ ახსოვდეთ", რომელიც მწერალმა 81 წლის ასაკში დაიწყო. მისი ტექსტი შეადარეს 30 წლით ადრე დაწერილ რომანს "დანიშნულების ადგილი უცნობია" და აღმოჩნდა, რომ "სპილოების" სიტყვათა მარაგი 30 პროცენტით ნაკლებია, ხოლო გამეორებული წინადადებების რაოდენობამ 18 პროცენტს მიაღწია.

სწორედ ეს შედეგები აფიქრებინებთ მეცნიერებს, რომ აგატა კრისტი ალცჰეიმერით იყო დაავადებული, რადგან მეტყველებისა და აზროვნების მოშლა და სიტყვათა მარაგის შემცირება სწორედ ამ დაავადების სიმპტომებია. მათ დასკვნას ისიც ამყარებს, რომ იმავე მეთოდით კვლევა რამდენიმე წლის წინ აირის მერდოკის შემთხვევაშიც ჩაატარეს და დაახლოებით მსგავსი შედეგები გამოვლინდა, რომელიც ნამდვილად იყო დაავადებული ალცჰეიმერით.

როგორც ტორონტოს უნივერსიტეტის ენათმეცნიერები აცხადებენ, ისინი კვლავ განაგრძობენ აგატა კრისტის თემაზე მუშაობას, შეისწავლიან რამდენად იცვლებოდა მის ხელნაწერებში გრამატიკული შეცდომების დინამიკა. ასევე კრისტის მონაცემებს შეადარებენ მათ მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული სხვა კვლევების დასკვნებსაც, რათა ყველანაირი ცდომილება გამოირიცხოს.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტა

ტრაპიზონის იმპერია საქართველოს აქტიური ჩარევით შეიქმნა და როგორც მოსახლეობაში, ისე მმართველ წრეებში, ქართულ ელემენტს გამორჩეული ადგილი ეკავა. იმპერიის სათავეში მდგომი კომნენოსები, საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდნენ და საქართველოს სამეფოს საგვარეულოსთან, ბაგრატიონებთან ნათესაური კავშირები ჰქონდათ. შესაძლებელია სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრა ის აქტიური ურთიერთობები საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიას შორის, რომელიც არ შენელებულა იმპერიის დაცემის დღემდე და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უამრავი ტრაპიზონული ფულის განძებიც ამ კავშირის მანიშნებელია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების ბიზანტიურ ფონდში დაცული ტრაპიზონის იმპერიის მონეტა უნიკალურია და საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

აღნიშნული ექსპონატი ნაკლებად შესწავლილიც არის. მისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას იტევს და ტრაპიზონის იმპერიის და საქართველოს ურთიერთობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

გიორგი კომნენოსის (1266-1280) სპილენძის მონეტები ტრაპიზონული ასპრებისაგან ტიპოლოგიურად განსხვავებულია.

მონეტის ავერსზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მეფე წმინდა ევგენიოსთან ერთად. მას მარჯვენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, რომელიც ექვსი ბურთულით ბოლოვდება. ტანთ თვლებით მოჭედილი სამოსი აცვია, თავზე გვირგვინი ადგას, რომელზეც საკიდებია დაშვებული თითოზე ორ-ორი თვალით. წმინდა ევგენიოსი შარავანდედით და თავსაბურავით არის წარმოდგენილი, მარჯვენა ხელში გრძელბუნიანი ჯვარი უჭირავს, მარცხენა ხელით-სამოსის ნაკეცები. მეფის მარჯვნივ და მარცხნივ ბერძნული ზედწერილია

რევერსზე კი გამოსახულია წმინდა გიორგის გამოსახულება წელს ზემოთ შარავანდედით, რომელსაც მარჯვენა ხელი მოხრილი აქვს და შუბი უჭირავს, ხოლო მარცხენაში - ფარი. წმინდა გიორგის მარჯვნივ კი ჩანს წარწერა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგზემპლარი ფაქტიურად ერთადერთია და მას ანალოგია არ აქვს.

მონეტის რევერსზე გამოსახულია წმინდა გიორგი ფარით და შუბით, რაც გამონაკლისი შემთხვევაა ტრაპიზონულ მონეტებში. ასე, რომ გიორგი I-ის მონეტები მეტად საინტერესო ტიპებს წარმოადგენენ არა მარტო ლითონის გამო, არამედ მასზე არსებული წმინდა გიორგის გამოსახულებითაც.

ევგენიოსი ტრაპიზონის მფარველი ღვთაებაა და მისი გამოსახულება გვხვდება არა მარტო მონეტებზე, არამედ იმპერატორების გერბებზეც.

საინტერესოა, რატომ გაჩნდა გიორგი I-ის მონეტებზე წმინდა გიორგის გამოსახულება? შეიძლება, მეფემ იგი მოათავსა, როგორც თავისი მფარველი წმინდანი, მაგრამ შესაძლებელია, ეს საქციელი მისი საქართველოსადმი დიდი სიმპათიებისა და გიორგის პროქართული ორიენტაციითაც აიხსნას. იგი ხომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დევნილობის პერიოდში საქართველოდანაც მხარდაჭერით სარგებლობდა. ცნობილია, რომ ის "ტავრეზიონის მთებს" აფარებდა თავს, ეს კი ის ტერიტორიაა, რომელიც საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა. აქაური ფეოდალები, როგორც ტრაპიზონის იმპერატორის, ისე საქართველოს "შეფეთ მეფის" ხელქვეითად ითვლებიან, ფაქტიურად კი ძალაუფლება რიზეს მხარეში, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობის ხელშია. ეკლესიურადაც რიზეს მხარე ქართლის საკათალიკოზოს ეკუთვნის და არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს.

ამდენად აღნიშნული მონეტისადმი ინტერესი დიდია და არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევართა შორის.

მაია პატარაიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ქეა საერთაშორისო კავკასიაში
პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს

საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შესარჩევ კონკურსს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" პროექტის "ფერმერები და ბაზარი" ფარგლებში აცხადებს კონკურსს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შერჩევას.

საკონსოლიდაციო ცენტრების ბიზნეს პარტნიორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში რეგისტრირებულ კომპანიებს და ორგანიზაციებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ასოციაცია, ინდივიდუალური მეწარმე და სხვა), რომლებიც მუშაობენ კვების პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, იმპორტის, ექსპორტის, დისტრიბუციის სფეროში, აქვთ მუშაობის მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება და წარმოადგენენ 100% კერძო საკუთრებას.
2. საპროექტო წინადადების წარმომდგენ იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე, არ გააჩნიათ საბიუჯეტო დავალიანება და მათი საბანკო ანგარიშები, ასევე ქონება არ არის დაყადაღებული.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული საკონსოლიდაციო ცენტრები დარეგისტრირდება, როგორც კომერციული იურიდიული პირები, სადაც პარტნიორების სახით წარმოდგენილი იქნებიან კონკურსის საფუძველზე შერჩეული ბიზნეს პარტნიორი და "ქეა საერთაშორისო კავკასიაში". პროექტი "ფერმერები და ბაზარი" დააფინანსებს კონკურსში გამარჯვებული განაცხადის ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების 50%-ს, მაქსიმუმ 50,000 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის "ფერმერები და ბაზარი" დასრულების შემდეგ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს წილი კაპიტალი გადაეცემა პროექტის პარტნიორ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

საპროექტო განაცხადის სტანდარტული ფორმა, ასევე განმცხადებლის სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებ გვერდებზე: www.care-caucasus.org.ge; www.bpgeorgia.ge

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **კვალიფიციურმა საწარმოებმა** (იხილეთ განმცხადებლის სახელმძღვანელო) უნდა შეავსონ და "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში წარმოადგინონ საპროექტო განაცხადის შევსებული ფორმა. საპროექტო განაცხადის შევსება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

საპროექტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 15 მაისი, 18:00 საათი.

საპროექტო განაცხადების (როგორც დაბეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე/CD) წარდგენა შეგიძლიათ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა/მოსაშვილის ქ.11, მე-5 სართული, ტელ: (+995 32) 291941, 291378, 291531; ფაქსი: (+995 32) 294307.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს და ორგანიზაციებს განაცხადის შევსების თაობაზე კონსულტაციების მისაღებად შეუძლიათ დაესწრონ "ღია კარის დღეს", რომელიც გაიმართება "ქეა საერთაშორისო კავკასიაში" ცენტრალურ ოფისში ა.წ. 14 აპრილს და 5 მაისს, 12:00სთ-ზე.

პროექტი "ფერმერები და ბაზარი" BP-სა და ნავთობისა და გაზის სფეროში მისი ბიზნეს-პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ნაწილია. საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მიზანია მილსადენის გასწვრივ განლაგებული თემების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

შპს „საქართველოს ფოსტა" აცხადებს
ღ ი ა ა უ ქ ც ი ო ნ ს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

№	გასაიჯარებელი ფართები	ფართი (კვ.მ.)	საწყისი საიჯარო ფასი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)	ბიჯი
1	ყილიავლ ქუთაისის ფოსტის №2 ს/ბ მის: წმინდა ნინის ქ.№7	7	24	05
2	ყილიავლ ფოთის ფოსტის ადმ. შენობა მის: წმინდა გიორგის „№16	11,27	12	05
3	ყილიავლ ადიგენის ფოსტა მის: თამარ მეფის ქ №1	23	2	05
4	ყილიავლ ხაჩერის ფოსტა II სართული	10,7	4	05
5	ყილიავლ სენაკის ფოსტის ადმ. შენობა II სართული	13.10	6	0.5
6	ყილიავლ ჭიათურის ფოსტის ადმ. შენობა 1 სართ.	18	4	0.5
7	ყილიავლ თბილისის ფოსტამტის № 51 ს/განყოფილება ლილოს დასახლება	7.41	12	1
8	თბილისი ფოსტამტის №45 ს.განყოფილება მის; მარელისის ქ.№1	31.91	12	1
9	ავტოფარეხის ტერიტორია (ბოგდან-ხმელნიცკის48ა)	15	10	1

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც საჭიროებულია აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტედენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- საჭიროებულია პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტედენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის" მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის" ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 6 აპრილიდან 2009წლის 20 აპრილის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 20 აპრილი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი№2, შპს „საქართველოს ფოსტის" ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

სპორტი

წარმატებული რეტროდებიუტი

გივი ბასარია, ფოტო

მიხეილ აბაიშვილი

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ სანაკრებო თამაშებით გამოწვეული ათდღიანი არდადეგები ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერებმა, საჩემპიონო რბოლაში ჩაბმულმა დედაქალაქურმა გუნდებმა - "ვიტ ჯორჯიამ" და "დინამომ" გონს მოსასვლელად გამოიყენეს და 26-ე ტურში სახეშეცვლილები წარდგნენ ქომაგების წინაშე. გონზე მოსვლა კი ამ გუნდებს ნამდვილად ესაჭიროებოდათ: "ვიტ ჯორჯიამ" და "დინამომ" მესამე წრის სასტარტო ორ ტურში ისე სინქრონულად დაკარგეს ქულები, თითქოს მოლაპარაკებული ყოფილიყვნენ. თანაც, ამ მარცხიან დაპირისპირებებში ჩემპიონობისთვის მომართულმა ამ გუნდებმა ქულები ქარს და გამოკვეთილ აუტსაიდერებს გაატანეს. ორივეს სულზე მიუსწრო სანაკრებო პაუზამ, რამაც დადებითად იმოქმედა "მრბოლელებზე".

"ვიტ ჯორჯიამ" 26-ე ტურში მორიგი მატჩი ჩაატარა მიმდინარე სეზონში მისთვის საშინაოდ ქცეულ გორის სტეფანიას სახელობის არენაზე, სადაც ამჯერად დედაქალაქურ "დერბიში" "ლოკომოტივს" უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში ვეტერინარებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, სადებიუტო წუთებში ლიდერის მთავარ მწვრთნელს ნესტორ მუმლაძეს სანერვიულო მაინც არ მოჰკლებია. მე-8 წუთზე სტუმრებმა სტანდარტული მდგომარეობიდან იხეირეს: ვიტელთა საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებას მცირე ქაოსი მოჰყვა, რითიც ლოკომოტიველმა მახარაძემ ისარგებლა და ანგარიში გახსნა. თუმცა, როგორც მერე გამოჩნდა, ეს უფრო ეპიზოდი იყო და მასპინძლების პასუხი მომდევნო წუთებშივე გაისმა. თამაში განახლდა თუ არა, ბეჭვაიამ თანაფარდობა აღადგინა, ორიოდე წუთში კი ლიპარტიამ გაიტანა ლამაზი გოლი და "ვიტ ჯორჯია" დააწინაურა. ამის შემდეგ მასპინძლების უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა და ის, რომ "ლოკომოტივმა" სახე შეინარჩუნა და დიდი ანგარიშით არ დამარცხდა, ამ გუნდის მეკარის კარგი თამაშის, ნაწილობრივ კი იღბლის წყალობაა. და მაინც, სტუმრები ბოლო წუთებზე კიდევ ერთ გოლს ვერ გადაურჩნენ: 90-ე წუთზე კვარაცხელიას ეფექტური პასით ყველაშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ტურის ცენტრალური თამაში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, სადაც ჩემპიონმა "დინამომ" ყოფილ ჩემპიონს რუსთავის "ოლიმპს" უმასპინძლა. მატჩს ინტერესს ისიც მატებდა, რომ წინა ტურში, ზედიზედ მეორე წარუმატებლობის შემდეგ, გუნდის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა გერმანელი მწვრთნელი რაინერ ცობელი. ის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა მის თანაშემწედ მომუშავე კახა კაჭარავამ, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს გუნდს. "დინამოს" მთავარი მწვრთნელობა უცხო არ არის კაჭარავასთვის - ამ პოსტზე ის ორი წლის წინ ჩეხი დუშან უგრინის მოწვევამდე მუშაობდა.

ძველმა ახალმა მწვრთნელმა საგრძნობი კორექტივები შეიტანა როგორც გუნდის თამაშში, ისე მის ძირითად შემადგენლობაში. სასტარტო თერთმეტ ფეხბურთელს შორის გამოჩნდა ვაჟა ნემსაძე - "დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის გიორგი ნემსაძის 18 წლის შვილი, რომელმაც გამთამაშებლის პოზიციაზე ითამაშა და წარმატებითაც. უმცროსმა ნემსაძემ "დინამოს" ყველა იერიშში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ართმევაზეც კარგად ითამაშა, შორიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმებიც ეხერხება და იმედი მოგვცა, რომ მალე წარმატებით და ღირსეულად შეცვლას მამას. თუმცა, ამისთვის კიდევ ბევრი შრომა სჭირდება, რაც, დარწმუნებული ვარ, სერიოზული კონტროლის ქვეშ ხორციელდება როგორც "დინამოს" მწვრთნელების, ისე მამის მხრიდან.

ორივე გუნდის დიდი მცდელობის მიუხედავად, მოედნის ცენტრზე კონტროლი ვერც ერთმა ვერ დაამყარა. თავიდან ორმხრივ იერიშებში ოდნავ უკეთ სტუმრები გამოიყურებოდნენ, თუმცა, პირველი საგოლე მომენტი მაინც მათ კართან შეიქმნა: დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან მერებაშვილის დარტყმული ალავიძემ მოიგერია. საპასუხო იერიშში უკვე ჩიმაკაძე იყო მიზანთან ახლოს, თუმცა, წინ გამოსული მეკარის - ოვონოს თავზე ბურთის გადაგდებისას ცოტათი უმტყუნა მიზანმა. ანგარიში 39-ე წუთზე გაიხსნა: დიღმელაშვილის მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებას ნერგაძე გამოეხმაურა და თავური დარტყმით ალავიძეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ნახევარში "დინამომ" კიდევ ერთი გოლი გაიტანა: 68-ე წუთზე დონალდ ჯუისმა გამოიჩინა თავი და თითქოს გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა. თუმცა, შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კიდევ ერთმა ლეგიონერმა, "ოლიმპის" გაბონელმა მცველმა აკუასაგამ ერთი გოლი გაქვითა და დარჩენილი წუთები მასპინძლებს ლამის ჯოჯოხეთად უქცია. კაჭარავას გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ "დინამო" გაშვებულმა გოლმა არ დააბნია, კარგად დაიცვა თავი და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა.

23-ე ტური

ვიტ ჯორჯია - ლოკომოტივი							3:1
მგლები - სპარტაკი							2:1
დინამო - ოლიმპი							2:1
ბორჯომი - გაგრა							1:2
სიონი - მესხეთი							2:0
ვიტ ჯორჯია	24	15	8	1	41:13	53
დინამო	24	16	4	4	50:18	52
ზესტაფონი	22	12	4	6	27:14	40
ოლიმპი	22	10	9	3	25:13	39
სიონი	23	9	9	5	26:19	36
ლოკომოტივი	22	8	5	9	24:22	29
მგლები	24	8	5	11	28:30	29
მესხეთი	24	5	8	11	15:31	23
გაგრა	24	5	6	13	18:38	21
სპარტაკი	23	3	6	14	21:39	15
ბორჯომი	24	2	6	16	18:56	12

რუსულ ჰოკეიში მეორე ქართულ რეკორდამდე 15 წუთი რჩება

მოსკოვის "ლოკომოტივის" ჰოკეისტთა გუნდის მეკარემ, 25 წლის გიორგი გელაშვილმა ზედიზედ მესამე მატჩი ჩაატარა შაიბის გაუშვებლად. "სოვეტსკი სპორტის" ინფორმაციით, რუსეთის ჩემპიონატის პლეი-ოფის რეკორდამდე მას 14 წუთი და 43 წამი რჩება. საგულისხმოა, რომ გიორგი გელაშვილს ეკუთვნის გაგარინის თასის მშრალი სერიის რეკორდი, რომელიც 188 წუთსა და 49 წამს შეადგენს.

"მილანს" მილანელი გაწვრთნის

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ "მილანის" მომავალი კვლავ უკავშირდება "როსონერთა" ახლანდელ მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის. ამავე დროს გალიანიმ ერთგვარად მიანიშნა, თუ მომავალში ვინ შეცვლის კლუბის ახლანდელ დამრიგებელს. "შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ "მილანის" მომავალი ანჩელოტისთანაა დაკავშირებული. მის შემდეგ კი კლუბის მწვრთნელი უნდა გახდეს ბერლუსკონის ეპოქის ერთ-ერთი გამოჩეული მილანელი. არ მინდა გამოვეხმაურო მოურინიოს გამონათქვამებს ანჩელოტიზე, რათა კიდევ უფრო არ გავაღვივო პორტუგალიელისადმი ინტერესი. ანჩელოტი ერთადერთია, ვინც ჩემპიონთა ლიგა მოიგო როგორც მოთამაშემ და როგორც მწვრთნელმა. არ მგონია, რომ მას ვინმესთვის რამე აქვს დასამტკიცებელი," - ამბობს გალიანი.

მოიესი ფერგიუსონის ნაცვლად?

როგორც ინგლისური "სანი" აცხადებს, შესაძლოა ალექს ფერგიუსონის მემკვიდრე გახდეს "ევერტონის" მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი. მოსალოდნელია, რომ მომავალი სეზონის ბოლოს 67 წლის ფერგიუსონი პენსიაზე გავიდეს. სწორედ ამ დროისთვის ელიან "ოლდ ტრაფორტზე" მოიესის გამოჩენას. "დევიდი არ არის იმდენად აღიარებული, რამდენსაც იმსახურებს. მიაქციეთ ყურადღება - მან უდიდესი სამუშაო გასწია "ევერტონში", მას არა აქვს ისეთი ფინანსური რესურსი, რითაც სხვა კლუბები გამოირჩევიან, თუმცა, ახალგაზრდა მოთამაშეებთან ხანგრძლივი კონტრაქტები გააფორმა და, ისეთი ფეხბურთელების წყალობით, როგორებიც არიან ფილ იაგელკა, თიმ კეჰილი და ჯულიან ლესკოტი, შექმნა საიმედო ბირთვი. მისმა ყოველმა გადაწყვეტილებამ გაამართლა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მოიესს ფეხბურთში განსაკუთრებული ალღო აქვს", - ამბობის სერ ალექსი. საგულისხმოა, რომ მოიესი, ფერგიუსონის მსგავსად, გლაზგოელია. მოიესმა 2002 წელს ჩაიბარა "ევერტონი" და ბოლო ოთხი სეზონიდან სამი პრემიერლიგის საუკეთესო ექვსეულში დაასრულა. 2003 და 2005 წლებში კი ის ინგლისის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ფერგიუსონის შემცვლელებად ასახელებენ აგრეთვე მარტინ ონილსა და ჟოზე მოურინიოს.

"ბარსას" ტრეგეზგეც მოუნდა

"იუვენტუსის" ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ შესაძლოა ზაფხულში დატოვოს გუნდი. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა ანტონიო კალიენდომ. მანვე განაცხადა, რომ ტრეზეგე შესაძლა "ბარსელონაში" გადაბარგდეს. "ტრეზეგეს სამსახურით დაინტერესებული არიან ინგლისური და ესპანური კლუბები. შესაძლოა ჩვენ განვიხილოთ "ბარსელონას" წინადადება. მან რამდენიმე ხნის წინ აშკარად გამოხატა ტრეზეგესადმი ინტერესი." - ამბობს კალიენდო.

პსვ-ს რუტენს ჩააბარებენ

არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო ამ ორიოდე კვირის წინ გელზენკირხენის შალკედან გათავისუფლებული ჰოლანდიელი სპეციალისტი ფრედ რუტენი შეიძლება პსვ-ს მწვრთნელი გახდეს.

იანვარში, იმავე მიზეზით, ჰოლანდიურმა კლუბმა თანამდებობიდან გაუშვა ჰუუბ სტევენსი. ახლა იქ დროებითი მწვრთნელის ფუნქციებს დუაიტ ლოდეეგესი ასრულებს.

ეინდჰოვენი სტევენსის მუდმივ შემცვლელად კლაუს ტოპმიოლერს, რონალდ კუმანსა და კო ადრიანსესაც მოიაზრებდა, მაგრამ, ამ წყაროს ცნობით, რუტენის კანდიდატურა იქ იმთავითვე ყველაზე სასურველად ითვლებოდა.

ახლა, როცა ამ უკანასკნელს შალკესთან კონტრაქტი აღარ აკავშირებს, ეინდჰოვენს მის დაქირავებაში ხელს აღარაფერი უშლის.

რიბერი მესამეა

2008 წელს ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე ფრანგ სპორტსმენთა ჩამონათვალში მიუნხენის ბაიერნისა და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მესამე იყო.

წინა წელთან შედარებით მან 3,2 მილიონი ევროთი მეტი იშოვა და ჯამში 8,3 მოაგროვა. მას მხოლოდ მისმა ბარსელონელმა თანაგუნდელმა ტიერი ანრიმ (17,7) და სან ანტონიო სპურზის კალათბურთელმა ტონი პარკერმა (9,6) გაუსწრეს.

რიბერის ჯამაგირი თვეში 540 ათას ევროს შეადგენს.

პოდოლსკიმ აღიარა

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების 23 წლის თავდამსხმელმა ლუკას პოდოლსკიმ ბილდთან საუბარში განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა ოთხშაბათს უელსის ნაკრების მსოფლიო პირველობის საკვალიფიკაციო მატჩში თავის კაპიტან მიხაელ ბალაკს სილა გაანწნა.

ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი. თანაგუნდელს არავითარ შემთხვევაში ხელით არ უნდა შევხებოდი, - აღნიშნა პოდოლსკიმ, რომელმაც უკვე 62-ჯერ დაიცვა ბუნდესნაკრების ღირსება და მას 32 გოლით შეენია, - აშკარაა, რომ გავცხარდით, რაც მოედანზე ხშირად ხდება, მაგრამ ჩემი რეაქციით, სამწუხაროდ, გადავამლაშე.

მისი თქმით, მას და ბალაკს შორის ყველაფერი იმ დღესვე მოგვარდა. რაც მთავარია, ეს ინციდენტი მათ მომავალ თანამშრომლობაზე არ აისახება.

ჩვენ მატჩის შემდეგვე ვისაუბრეთ და არავითარი პრობლემა აღარ არსებობს, - თქვა მან, - ორივეს გვინდა, რომ გერმანიის წარმატებისთვის ერთად გავისარჯოთ.

პარასკევს პოდოლსკიმ საკუთარი თავი დაიჯარიმა - გერმანიის ფეხბურთის კავშირს მომავალში მოსაწყობი ფეარ-პლეის ნებისმიერი აქციისთვის 5 ათასი ევრო აჩუქა.

"მილანის" არაბული პერსპექტივა

იტალიური "მილანის" ხელმძღვანელობა ახლანდელ სატიტულო სპონსორთან, საბუკმეიკერო კანტორა BWIN-თან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებს. მოქმედ კონტრაქტს კი 2010 წლის 30 ივნისს გასდის ვადა. ასე რომ, დაახლოებით ერთ წელიწადში "როსონერის" ახალი სპონსორი ეყოლება.

სილვიო ბერლუსკონი გუნდის მომავალი პარტნიორის ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა მის შესახებ გარკვეულ მითითებებს იძლევა - ეს იქნება ფირმა საუდის არაბეთიდან, რომლის უმთავრესი საქმიანობა სატრანსპორტო ბიზნესია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საუბარია ავიაკომპანია Emirates-ზე - საუდის არაბეთიდან ის ერთადერთი ცნობილი სატრანსპორტო ფირმაა, რომელიც ევროპულ ფეხბურთში კაპიტალს აბანდებს.

შეგახსენებთ, რომ ახლა Emirates-ი ლონდონის "არსენალის" სატიტულო სპონსორია. მანამდე ამ ფირმის ლოგოტიპი "ჩელსის" ფორმას ამშვენებდა.

დიუფი ნაკრებიდან წავიდა

ინგლისის ბლექბერნის თავდამსხმელმა ელ-ჰაჯი დიუფმა სენეგალის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდში კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

დიუფი სენეგალის ნაკრებში 2000-2008 წლებში თამაშობდა და 41 მატჩში 16 გოლი გაიტანა.

ბლექბერნში იგი 2009 წლის 30 იანვარს სანდერლენდიდან გადავიდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ 7 მატჩში ერთხელ აიღო მეტოქის კარი.

სხვათა შორის, დიუფმა 2007 წლის ოქტომბერშიც განაცხადა, რომ ნაკრებში მეტს აღარ ითამაშებდა, მაგრამ ცოტა ხანში გადაიფიქრა.

ადრიანო არ ცხრება

"ინტერის" ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს შესაძლოა კლუბის ხელმძღვანელობამ გარკვეული სანქცია დაადოს. მიზეზი კვლავ დისციპლინის დარღვევაა - სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ბრაზილიის ნაკრებში იყო გამოძახებული, მილანში დათქმულ დროზე გვიან დაბრუნდა.

თავად ადრიანომ დაგვიანება გაურკვეველი მიზეზებით ახსნა - ამის გამო იტალიის რეისს ჩამოვრჩიო. თუმცა, ამ თავის მართლების "ნერაძურის" ბანაკში ნაკლებად სჯერათ, რადგან ბრაზილიელი თავდამსხმელი, სანაკრებო შეხვედრების შემდეგ, ადრეც არაერთხელ აღმოჩენილა ანალოგიურ სიტუაციაში.

"ინტერის" თავკაცს ჟოზე მოურინიოს, დასჯის მიზნით, ადრიანო იტალიის ჩემპიონატის უახლოეს ტურში ("უდინეზესთან") სამატჩო განაცხადში არ შეუყვანია. ამის გარდა, სამხრეთამერიკელს ფინანსური სანქციაც დაედება.

მიმდინარე სეზონში ადრიანომ "ინტერის" შემადგენლობაში მხოლოდ 13 საჩემპიონატო შეხვედრა ჩაატარა, რომლებშიც სამი გოლი გაიტანა. მთლიანობაში, სერია A-ში "ნერაძურის" ფორმით გამართულ 121 მატჩში შეძლო მეტოქის კარის აღება. ბრაზილიის ეროვნული გუნდის ღირსება კი 51 თამაშში დაიცვა და პირად ანგარიშზე 31 გოლი ჩაიწერა.

ფირამ ქართველთა მესამე ტრიუმფი აღიარა

საქართველოს რაგბის კავშირში ფირა-აერის შტაბბინიდან უცნაური წერილი მოვიდა. ფირას პრეზიდენტი, ფრანგი ჟან კლოდ ბაკე ადასტურებს, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით შეინარჩუნა ევროპის "ერთა თასი". აი, წერილის სრული შინაარსი, რომელიც რაგბის კავშირის თავმჯდომარემ გია ნიჟარაძემ მიიღო. "მე, ჟან კლოდ ბაკე, ვადასტურებ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის "ერთა თასის" 2009 წლის გათამაშების პირველი დივიზიონის გამარჯვებულია. საქართველოს ეროვნული ნაკრები იკავებს წამყვან პოზიციას ტურნირის სარეიტინგო ცხრილში 5 მატჩის შემდეგ მოპოვებული 14 ქულით (4 მოგება, 1 ფრე). ფირა-აერის პრეზიდენტი ჟან კლოდ ბაკე, პარიზი, 1 აპრილი, 2009 წელი." ის, რომ ჩვენი "ბორჯღალოსნები" პირველ ადგილზე არიან და მათ სატურნირო მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრებოდა, საყოველთაოდაა ცნობილი. უცნაური ის არის, რომ ორწლიანი ციკლი, რომლითაც ფირა ევროპის "ერთა თასის" გათამაშებას ბოლო ხანებში მართავს, რატომღაც ექსპრომტად შეიცვალა და გათამაშება ისევ ერთწლიან ციკლს დაუბრუნდა. ლოგიკური იქნებოდა ყველაფერი ეს გათამაშების დასრულებისას კი არა, დასაწყისას გადაწყვეტილიყო. ამ ვერდიქტის შედეგად, საქართველოს ნაკრები მიმდინარე გათამაშების გამარჯვებულად ჩაითვალა. ამრიგად, ჩვენმა "ბორჯღალოსნებმა" მესამედ შეძლეს ამ საპატიო ტიტულის მოგება და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდნენ რუმინეთის ნაკრებს, რომელიც მიმდინარე წელს სუსტად გამოდის. არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ ფირა-აერის ორგანიზაციულ მხარეზე, რომელიც აშკარად ტოვებს უკეთესის სურვილს. ჯერ იყო და, ევროპის "ერთა თასის" მატჩების დროს ეროვნულ ნაკრებებში დიდი პრობლემა იყო საუკეთესო მორაგბეების გამოძახება წამყვანი კლუბებიდან, რამაც თავისთავად დაღი დაასვა თამაშის ხარისხს (როგორც იქნა, ეს პრობლემა გადაიჭრა, რამაც გარკვეული ხიბლი შემატა წელს ჩატარებულ თამაშებს). ახლა ამას დაემატა ჟან კლოდ ბაკეს ასეთი გადაწყვეტილება. ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების გულშემატკივარს საწუწუნო არაფერი აქვს, ჩვენს მონაგარს ღირსეულად შეემატა კიდევ ერთი ტიტული. თუმცა სამწუხაროა, რომ ზეიმი, რომლის დროსაც ტიმ ლეინის ლაშქარმა მიმდინარე წელს პირველობა გაიფორმა, სათანადოდ ვერ დაგვირგვინდა თასის გადაცემით. არადა, მარიუპოლში მართლაც უნიკალური სარაგბო დღესასწაული გაიმართა, რომელსაც უდავოდ დაამშვენებდა ერთა თასის გადაცემის ცერემონიალი.

თავისუფლებამა ევროპა თბილისში შეაფასეს

ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ და ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა ფალავანთა კლუბში ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიები პირველი პირისგან გაგვაცნეს. შედეგები ასეთი იყო: ბესიკ გუჩაშვილის (55 კგ.) ვერცხლისა და მალხაზ ქურდიანისა (60 კგ.) და მალხაზ მუზიაშვილის (66 კგ.) ბრინჯაოს მედლები.

ვერ ვიტყვი, რომ შედეგებით უკმაყოფილო ვარ. თუმცა, ბუნებრივია, ჩემი სპორტსმენებისგან უფრო მეტს მოვითხოვ, - ამბობს ზაზა თურმანიძე, - 55 და 60 კგ წონაში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ, მაგრამ გუჩაშვილი და ქურდიანი გამოცდილი მოჭიდავეები არიან და მეტი მოეთხოვებათ. რაც შეეხება ნაკრების ახალწვეულს მალხაზ მუზიაშვილს (66 კგ.), მას ბრინჯაოს მედლით მშვენიერი დებიუტი გამოუვიდა. ამ ეტაპზე მეტი რომ მოვთხოვოთ, მართალი არ ვიქნებით. მუზიაშვილი ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. 74 კგ-ში გამოცდილი გელა საღირაშვილი ასპარეზობდა. სამწუხაროდ, მან ფინალში გადასასვლელი ურთულესი შეხვედრა დათმო და მესამე ადგილისთვის აბსოლუტურად გამოფიტული გავიდა ხალიჩაზე. მოულოდნელად ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. თქმა ვერ გამიბედა, თორემ ხალიჩაზე გასვლა აღარ უნდოდა.

84 კგ. წონაში იმედი ვერ გაგვიმართლა ბექა ჭელიძემ, სამომავლოდ კი მისი დიდი იმედი გვაქვს

წარუმატებელი გამოდგა ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატი ლუკა კურტანიძისთვის, მაგრამ მაინც მადლობელი ვართ - მას არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია საკუთარი კარიერის განმავლობაში.

დასანანი იყო დავით ოთიაშვილის ასპარეზობა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა დათმო. ვფიქრობ, უკეთესად შეეძლო გამოსვლა, მაგრამ მსაჯის ფაქტორმაც გარკვეული გავლენა იქონია მის შედეგზე. მე კი გაპროტესტების საშუალება არ მომცეს.

ევროპის ჩემპიონატზე გადახალისებული შემადგენლობით წასულმა გუნდმა შინ სამი მედალი ჩამოიტანა. შეკრებებისა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სპორტსმენები რამდენიმე დღეს დაისვენებენ, მერე კი ვარჯიშები განახლდება.

იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე დიდი დროა, თურმანიძეს ოთხი საწვრთნელი შეკრება აქვს დაგეგმილი. ნაკრები ერთ საერთაშორისო ტურნირზეც იასპარეზებს. გუნდის ბირთვი და საბოლოო შემადგენლობა კი ივნისის დასაწყისში, ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გამოიკვეთება.

ბერძენ-რომაელები ევროპას ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი ერთი ბრინჯაოს მედლით დაიწყო და ასევე დაასრულა. ქართველი ბერძენ-რომაელებისთვის მეტ-ნაკლებად შედეგიანი გამოდგა ევროპის ჩემპიონატის პირველი დღე. მანუჩარ ცხადაიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თუმცა ამ ბრინჯაოს ოქროს ფასი აქვს, რადგან მან არაერთი ტიტულოვანი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან.

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ვილნიუსში გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა. ტრავმების გამო არ უასპარეზიათ მსოფლიო ჩემპიონებს დავით ბედინაძესა (60 კგ.) და რამაზ ნოზაძეს (96 კგ.), ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს მანუჩარ კვირკველიას (74 კგ.) და ევროპის ჩემპიონ ბადრი ხასაიას (84 კგ.) ამის გამო ევროპულ ხალიჩაზე დიდ შედეგიანობას არც ველოდით.

თუმცა მაინც სასიამოვნო იყო ნაკრების ახალბედა წევრის მანუჩარ ცხადაიას გამოსვლა, რომელმაც, მედლის გარდა, იმითაც გამოიჩინა თავი, რომ ორი ოლიმპიური ჩემპიონი გამოთიშა ჩემპიონატს. ფინელი ჟარკო ალა-ჰუიკუს ორ სეტში დამარცხების შემდეგ, ასევე სეტის წაუგებლად ჩამოიცილა გზიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრანგი სტივ ჟენო. შემდეგ ამათ უნგრელი ატილა დრექსლერიც მიაყოლა თან და ნახევარფინალში გავიდა. ერთი მოგებაც და ოქროს მედლისთვის მოუწევდა ხალიჩაზე გასვლა, მაგრამ რუსეთის სახელით მოასპარეზე ამბაკო ვაჩაძესთან ვერაფერი გააწყო და რეპეშაჟში გადაერთო. და აი, აქაც მესამე ადგილისთვის მანუჩარმა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვს აჯობა.

ბერძენ-რომაელები ევროპას ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ

"ქორებმა" ზედიზედ მესამედ წააგეს

NBA-ში რეგულარული სეზონი დასასრულს მიუახლოვდა და "ატლანტა ჰოუქსის" ქომაგებს სანერვიულო მოემატათ. საქმე ის არის, რომ აქამდე კარგად მოთამაშე "ქორებმა" ზედიზედ სამი მატჩი წააგეს, რამაც არაერთი კითხვა გააჩინა. მათ შორის მთავარი: შეძლებს კი "ატლანტა" გასული სეზონის შედეგის გაუმჯობესებას და პლეი-ოფის პირველი რაუნდის ბარიერის დაძლევას?

თუ ფაჩულიამ და მისმა თანაგუნდელებმა ისევე ითამაშეს, როგორც გუშინ, გამთენიისას, "ორლანდოს" წინააღმდეგ, პლეი-ოფში წარმატებაზე ჯორჯიელებმა არც უნდა იოცნებონ.

საკუთარ "ფილიპს არენაზე" გამართული მატჩი მაიკ ვუდსონის გუნდმა ანგარიშით 82:88 წააგო. მართალია, სატურნირო ცხრილში ამას ატლანტელთა მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ თავად თამაშმა "ქორების" ქომაგებს ბევრი სანერვიულო გაუჩინა.

ჩვენთვის საწყენი ის არის, რომ ეს მატჩი სუსტად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ. მწვრთნელმა ქართველ ცენტრს სულ 6 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ზაზა მხოლოდ ერთი მოხსნით შემოიფარგლა. ამავე დროს ორჯერ დაჯარიმდა და ერთხელ ბურთი დაკარგა.

რაც შეეხება ევროპაში მოთამაშე ქართველებს, მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევმა" უკრაინის ჩემპიონატის რეგულარული პირველობა მეორე ადგილზე დაასრულა. უფრო სწორად, დაასრულებს, რადგან დედაქალაქელებს კიდევ ერთი მატჩი დარჩათ გასამართი, მაგრამ მისი შედეგი გათამაშების ცხრილში არავითარ გადაადგილებას არ გამოიწვევს.

კიეველებმა პირველ ადგილზე გასვლის ყველანაირი შანსი შაბათს ლიდერ "აზოვმაშთან" გასვლით მატჩში დაკარგეს. "აზოვმაშმა" 90:68 გაიმარჯვა და, რეგულარულში პირველ ადგილთან ერთად, პლეი-ოფის ყველა სტადიაზე მოედნის უპირატესობაც დაიბევა.

წინა მატჩებთან შედარებით, ამჯერად მარკოიშვილი ნაკლებად შედეგიანი იყო - მოედანზე გატარებულ 34 წუთში ქართველი ლეგიონერი 11 ქულით დაკმაყოფილდა. ამის გარდა, მან 4 შედეგიანი გადაცემა, 3 ჩაჭრა და 1 მოხსნა მიითვალა. კიეველთა მხრიდან მარკოიშვილზე მეტი ქულა მხოლოდ დროზდოვს ჰქონდა - 14. შეხვედრის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კი გახდა აზოვმაშელთა მსროლელი ტომპსონ დიჟონი, რომელმაც მატჩი 34 ქულით დაასრულა.

გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "როკმა" ზედიზედ მესამედ სძლია ტალინის "კალევს" მისსავე მოედანზე. რამდენიმე დღის წინ ეს გუნდები ბალტიის ლიგის პლეი-ოფის მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. ტარტუელებმა ორივე გასვლითი თამაში მოიგეს, შაბათს კი "როკი" ესტონეთის დედაქალაქს საჩემპიონატო მატჩის გასამართავად ეწვია და შინ კვლავ გამარჯვებული დაბრუნდა.

წინა თამაშებთან შედარებით, ქართველთა გუნდმა ამჯერად გაცილებით იოლად შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა. სტუმრებმა პირველი და მესამე მეოთხედები 11-11 ქულით მოიგეს და საბოლოოდ 85:68 გაიმარჯვეს.

"როკის" სასტარტო ხუთეულში არც ერთი ქართველი არ ყოფილა. სანიკიძესთან დაკავშირებით ეს არ არის გასაკვირი - მას ხშირად არ უწევს სასტარტოში ყოფნა. რაც შეეხება ცინცაძეს, ის დამწყები ხუთეულის თითქმის უცვლელი წევრია. პლეი-ოფის მომქანცველი მატჩების შემდეგ მწვრთნელებმა მას ალბათ მოდუნების საშუალება მისცეს. ამასვე მიუთითებს ცინცაძისთვის მიცემული შედარებით ნაკლები სათამაშო დრო - ქართველმა გამთამაშებელმა მოედანზე 18.42 წუთი დაჰყო და მხოლოდ 3 ქულა, 1 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

სანიკიძეს კი 21.24 წუთში გაცილებით უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა: 11 ქულა და 8 მოხსნა.

ქალაქ თბილისის მთავრობა
დადგენილება №05.43.151

24 თებერვალი 2009 წელი

ქ. თბილისის მთავრობის 100%–ანი წილობრივი
მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი
საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 და მე-14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1-ში მითითებული ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.
2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს ელენე მიხაილოვა (დაბადებული 10.01.1978 წელს, პირადი №01005002315).
3. კომპანიებში არსებული დოკუმენტაცია გადაეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის ცენტრალურ არქივს.
4. დაევალოს ელენე მიხაილოვას: უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული და საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება, უმოკლეს ვადებში.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) – მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.
6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთ თვეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

№	*კომპანიის დასახელება*	*მისამართი- ტელეფონი*
1	შპს ისანი–სამგორის რ–ის „ს/კ მომსახურების №12 ს/ცენტრი“	მოსკოვის გამზ, კოტეჯი №49–ა
2	შპს ისანი–სამგორის რ–ნის „ს/კ მომსახურების №93 ს/ცენტრი“	წულუკუძის ქ, №23–ა 78–79–48
3	შპს ვაკე–საბურთალოს რ–ის ს/კ მომსახურების ს/ც „სტუდქალაქი“	ჭავჭავაძის გამზ, №50 23–13–40 სამსახ,
4	შპს დიდუბე–ჩუღურეთის რ–ის „ს/კ მომსახურების ს/ცენტრი №6“	დიღმის მასივი III კვ, №6 კორპუსი 51–53–40
5	შპს დიდუბე–ჩუღურეთის რ–ის „ს/კ მომსახურების ს/ცენტრი №7“	აგლაძის ქ, №39–ა 56–35–72
6	შპს დიდუბე–ჩუღურეთის რ–ის „ს/კ მომსახურების ს/ცენტრი №8“	დიღმის მასივი IV კვ, №4 კორპუსი 34–55–61
7	შპს დიდუბე–ჩუღურეთის რ–ის ს/კ მომსახურების ს/ც „ოქროს უბანი“	გოგოლის ქ,№1 (ყოფ,№45) 95–22–86
8	შპს მთაწმინდა–კრწანისის რ–ის ს/კ მომსახურების ს/ც „კალა“	ჩალაუბნის ქ, (აკოფიანის) №2/10 93–22–15
9	შპს მთაწმინდა–კრწანისის რ–ის ს/კ მომსახურების ს/ც „ორთაჭალა“	კრწანისის ქ, №7 72–15–94

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მიერ საავტომობილო საწვავის შესასყიდად 2009 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის მიერ საავტომობილო საწვავის შესასყიდად 2009 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", რომელთანაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 20 მარტს.

სატენდერო კომისია

საქართველო
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
ტრანსფორმატორის (110/6 კვ. 6.3 მეგავოლოტ ამპერიანი) მიწოდება მუხიანის ჭაბურღილებისათვის

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ამ პროექტის ზოგად სატენდერო განცხადებას რომელიც გამოქვეყნდა Procurement Opportunities-ში 2006 წლის 16 მაისს და განახლდა 2008 წლის 22 აპრილს.

სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დადებულია 2006 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (სმგფ), შემდგომში მოხსენებული როგორც „დამკვეთი", შპს ქუთწყალკანალის სახელით აპირებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ("ბანკი") სესხის თანხით დააფინანსოს ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი.

"შემსყიდველი" იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება სესხის ნაწილიდან.

- ტრანსფორმატორის (110/6 კვ. 6.3 მეგავოლოტ ამპერიანი) მიწოდება მუხიანის ჭაბურღილებისათვის

ტენდერი კონტრაქტზე, რომელიც ბანკის სესხის სახსრებით დაფინანსდება ღიაა ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელი ორგანიზაციებისათვის.

კონტრაქტის მისანიჭებლად კონკურსის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთმოყვანილ კრიტერიუმებს და წარმოადგინოს დოკუმენტაცია შემდეგის დასასაბუთებლად:

(a) კონკურსის მონაწილის მინიმალური წლიური ბრუნვა თითოეული განვლილი ხუთი წლისათვის უნდა შეადგენდეს 0.75 მილიონ ევროს ან მის ექვივალენტს;
(b) იმ შემთხვევაში თუ კონკურსის მონაწილე კონტრაქტის ფარგლებში გვთავაზობს საქონლის მოწოდებას, რომელსაც იგი არ აწარმოებს, კონკურსის მონაწილე სათანადოდ უნდა იქნას უფლებამოსილი საქონლის მწარმოებლის მიერ, იმისათვის რომ საქონელი მიაწოდოს შემსყიდველის ქვეყანას;
(g) კონკურსის მონაწილეს, საქონლის მწარმოებელთა და მომსახურების მომწოდებელთა ჩათვლით, შესაბამისი ფინანსური, ტექნიკური, და წარმოების საშუალებები და შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს კონტრაქტის შესასრულებლად;
(d) კონკურსის მონაწილეს ან მის აგენტს უნდა შესწევდეს უნარი განახორციელოს მომწოდებლის ტექმომსახურების, შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების მარაგის შევსების მოვალეობები წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად;
(e) კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს I.S.O. 9001-2000 ან 14001 სერტიფიკატს (ან ექვივალენტურ ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატს);

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 200 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება "დამკვეთს". შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:
ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 341 800 01
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 340 80001, კოდის # 220 101 757
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესაბამისი მითითებით: **"მოწვევა სატენდერო პაკეტის შეძენაზე NEBRD/G/ICT/03-Kutaisi"**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია არანაკლებ 9,000 (ცხრაათასი) ევროზე.

წინასატენდერო შეხვედრა დაინტერესებული მონაწილეებისათვის დამატებითი განმარტებების მისაღებად ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, 2009 წლის 18 მაისს, 11:00 საათზე.

საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 2 ივნისის, 11:00 საათისა (ადგილობრივი დროით), სადაც საკონკურსო წინადადებები გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ამობეჭდილი და ელექტრონული (კომპაქტ დისკზე) სახით, იდენტური ვარიანტები. განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას Microsoft Excel 2003 ფორმატში, სხვა ნაწილები Microsoft Office Word 2003 ან უფრო ადრეული ვერსიების ფორმატში.

დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

პოტენციური კონკურსანტების აღრიცხვა, რომლებმაც სატენდერო დოკუმენტაცია შეისყიდეს ქვემოთმოყვანილ მისამართზე იწარმოებს.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, იხილონ და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
ქ. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, IV სართული, ოთახი 405
ტელ: (995 32) 48-45-09/10/11/15/55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

ბატონთან ბატონობით

მალაიზიას ტროპიკულმა წვიმამ გადაუარა

გიგა გურასაშვილი

ავსტრალიის დიდი პრიზიდან ერთი კვირის შემდეგ მალაიზიური კვალიფიკაცია და რბოლა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი საჯინიბოს - ბრაუნ GP -ის ბრიტანელი პილოტის ჯენსონ ბატონის გამარჯვებით დასრულდა. ის, რისთვისაც აქამდე მიეღიწა ბატონს, წლეულს ერთ სეზონში გააკეთა. 2009 წლის სამეფო რბოლათა ჩემპიონატის დაწყებამდე ბრიტანელს მხოლოდ ორი გამარჯვება ჰქონდა. პირველი 2003 წელს ავსტრალიაში მოიპოვა, მეორე - 2006 წელს უნგრეთში. წლეულს სულ ორი ეტაპი გაიმართა და პოულიც და გამარჯვებაც მას დარჩა. ახლანდელ წარმატებას კი უჩვეულო ვითარებაში მიაღწია - 56-წრიანი რბოლა 31 წრის შემდეგ დასრულდა. ქულები კი ოქმში განახევრებული ჩაიწერა.

მალაიზიური დიდი პრიზი შაბათის კვალიფიკაციიდანვე დამაინტრიგებელი გამოდგა. ასპარეზობას დაძაბულობას მატებდა ისიც, რომ სეპანგის ავტოდრომზე ყოველ წუთს ელოდნენ თქეშს.

ისევე როგორც ერთი კვირის წინათ, პოული ბრიტანელ ჯენსონ ბატონს დარჩა, რომელმაც საკუთარი ბრაუნ GP -ის ბოლიდით საუკეთესო შედეგი აჩვენა (1:35.181) და მეორე დღეს მთავარი რბოლის კავალკადას ჩაუდგა სათავეში. იმავე კვალიფიკაციაზე ბატონს მეათედი წამით ჩამორჩა ტოიოტელი იარნო ტრული.

მომდევნო რიგი რედ ბულის პილოტმა სებასტიან ფეტელმა დაიკავა, მაგრამ კვირას სტარტზე მაინც მე-13 ნომრად გავიდა. საქმე ის არის, რომ ავსტრალიის დიდ პრიზზე რობერტ კუბიცასთან შეჯახებისთვის ახლა დაჯარიმეს. კვალიფიკაციაზე დაკავებულ მეოთხე ადგილთან გამოთხოვება მოუხდა ბრაუნ GP -ის ბრაზილიელ ვეტერანს რუბენს ბარიკელოს - გადაცემათა კოლოფის გამოცვლის გამო ბარიკელო ხუთი საფეხურით ჩამოაქვეითეს. ფეტელისა და ბარიკელოს დაჯარიმების გამო კვირის რბოლას მესამე და მეოთხე ადგილებიდან შეუდგნენ ტოიოტელი ტიმო გლოკი და უილიამსელი ნიკო როსბერგი.

ერთი სიტყვით, რბოლა უჩვეულოდ დაიწყო, რაშიც საკუთარი კორექტივები ამინდმაც შეიტანა. მართალია, ნავარაუდევი თქეში შაბათს არ მოვიდა, მაგრამ მეორე დღეს ცამ მაინც გახსნა პირი.

იმის გამო, რომ მალაიზიის დიდი პრიზი ადგილობრივი დროით 17:00 საათზე გადაიტანეს (ევროპული ტელეაუდიტორიის რაოდენობის გასაზრდელად), გაჩნდა დიდი ალბათობა იმისა, რომ სეპანგის ტრასას ტროპიკული წვიმა დაატყდებოდა.

სინოპტიკოსთა პროგნოზის გამართლების შემთხვევაში კი, უილიამსელი ნიკო როსბერგის აზრით, მალაიზიური ეტაპი შეწყდებოდა. ორივე პროგნოზი გამართლდა - თავსხმა წვიმაც მოვიდა და დიდი პრიზიც 31-ე წრეზე შეწყდა. მანამდე კი მალაიზიაში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა: ნიკო როსბერგის მიერ აღებული წარმატებული სტარტი და შევიწროებული ბატონი, პირველივე მოსახვევში ტრასიდან გაფრენილი მაკლარენელი ჰეიკი კოვალაინენი, რობერტ კუბიცას ცეცხლმოკიდებული BMW ზაუბერი , არაერთი გასწრება და, რა თქმა უნდა, მრბოლთა შეცდომები. შუა რბოლაში წვიმაც ჩაერთო საქმეში, რასაც მოჰყვა მრბოლთა სასწრაფოდ ბოქსებისკენ გადახვევა და ბოლიდების საწვიმარი საბურავებით შემოსვა.

როცა წვიმამ გადაიღო, ბოლიდები ისევ ბოქსებისკენ გაეშურნენ - ამჯერად შუალედურ საბურავებზე გადასასვლელად.

ის იყო, სიჩქარემ იმატა, რომ სეპანგს ნამდვილი ტროპიკული წვიმა დაატყდა თავს. ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა. საქმეს არც ამან უშველა. პეისკარს ამოფარებულ ბოლიდებს მოძრაობა გაუჭირდათ. სტიუარდებს ისღა დარჩენოდათ, ტრასაზე წითელი ალამი გადმოეფინათ და რბოლა შეეჩერებინათ.

უჩვეულო ვითარებაში ორი გამოსავალი იყო: ლოდინი სტიქიის ჩაცხრომამდე ან რბოლის ნაადრევად დასრულება და იმ მომენტისთვის გავლილი წრეების მიხედვით ქულების დარიგება.

50-წუთიანი ლოდინის შემდეგ გადაწყდა: რბოლა შეწყდეს. იმის გამო, რომ მრბოლებმა მანძილის 75 პროცენტი ვერ გაიარეს, საპრიზო ქულები ორჯერ შემცირდა. ასე რომ, ბატონმა 10-ის ნაცვლად 5 ქულა მიიღო, ნიკ ჰაიდფელდმა - 4, ტიმო გლოკმა - 3, იარნო ტრულმა - 2,5, რუბენს ბარიკელომ - 2, მარკ უებერმა - 1,5, ლუის ჰამილტონმა - 1, ნიკო როსბერგმა - 0,5.

ისევე როგორც ავსტრალიაში, მალაიზიური დიდი პრიზი კრახით დასრულდა სკუდერიელთათვის - ორი ეტაპის ჯამში ფერარის გასწვრივ ნული ქულაა.

მალაიზიის დიდი პრიზი.	**56 წრე**
ტრასის სიგრძე:	**5.543 კმ.**
რბოლის დისტანცია:	**310.408 კმ.**

1. ჯენსონ ბატონი (ბრაუნ GP)	1:10:59.092
2. ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)	+22.7
3. ტიმო გლოკი (ტოიოტა)	+23.5
4. იარნო ტრული (ტოიოტა)	+46.1
5. რუბენს ბარიკელო (ბრაუნ GP)	+47.3
6. მარკ ვებერი (რედ ბული)	+52.3
7. ლუის ჰამილტონი (მაკლარენი)	+60.7
8. ნიკო როსბერგი (უილიამსი)	+71.5

კონსტრუქტორთა ჩათვლა:

1. (ბრაუნ GP)	25
2. ტოიოტა	16,5
3. BMW-ზაუბერი	4
4. რენო	4
5. უილიამსი	3,5
6. ტორო როსო	3
7. რედ ბული	1,5
8. მაკლარენ-მერსედესი	1
9. ფორს-ინდია	0
10. ფერარი	0

24 საათი www.24saati.ge ყოველდღიური

The New York Times Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ——————— 52 ლარი;
6 თვით ——————— 26 ლარი;
3 თვით ——————— 13 ლარი;
1 თვით ——————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

ლიბანელი მოქალაქე, ისამ კამალედინინმა (Issam Koma Leddine) დაკარგა პასპორტი №RL0320652. მპოვნელი დასაჩუქრდება ფულადი თანხით. მპოვნელს ვთხოვთ დაგვიკავშირდეს შემდეგ ტელ. ნომერზე: 877 77 55 07.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცხადდება 2009 წლის სასწავლო - სამაგისტრო პროგრამა!

გრანტი გაიცემა უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია 2009 წლის 31 მარტიდან ა.წ. 26 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისვის იხილეთ ვებ. გვერდი WWW.DRF.ORG.GE ; ტელ: 996 723; 93 28 53.

თვითმცლელი:
BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა 1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი:BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)